

მხედრობა

შ ი ნ ა ა რ ს ი :

- პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობათა
თანამუშაობის დებულებანი სახელმწიფოში და
მისი განხორციელება ჩვენში — ვ. ნა — ლი
- ნავთისათვის ბრძოლა მსოფლიო ომში — ბ. ვარდანი
- სამხედრო ბიუჯეტი — ბ — ნა ქ — ძე
- ამერიკელთა ჯარი დიდ ომში — ნ. შ.
- საომარი მოქმედებანი მთაში — ნ. თოხაძე
- არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება
თანამედროვე ბრძოლაში — ლ. მ.

მხედრული

ქართულ იუნიკოდთა კავშირის ოჯახი

პარიზი, თქტომბერი, 1930 წ.

N° 7

პოლიტიკურ და სამხედრო

ხელმძღვანელობათა თანამშრომლის დეპუტებანი

სახელმწიფოში და მათი განხორციელება ჩვენში

დღეს კაცობრიობა უკვე გასცდა წარსულ საერთაშორისო ქარცეცხლის უშუალო განცდებს. ყოველი ერა, რომელიც კი მონაწილეობას იღებდა ამ ქარიშხალში, უღეს ობიექტიური სიძინჯით აწარმოებს გამოკვლევას და კრიტიკას მის მიერ გადადგმულ ყოველი ნაბიჯის შესახებ; აქედან გამომავტ დასკვნები და დებულებანი თავისი მომავალი მოქმედებისათვის. ყოველი მათგანი იყენებს წარსულის გამოცდილებას, გამოცდილებას, რომელიც მათ მოიპოვეს დაღვრილი სისხლის ფასად.

ჩვენი ერის გადამწყვეტი მნიშვნელობის დღენიც ამავე ხანას ჩაექსოვენ და ამიტომ ჩვენც გვაწევს მოვალეობა მათ გამოცდილებათა ჩამოყალიბების, რომ მთელ ქართულ საზოგადოებას შეეძლოს ჩვენი ერის მოქმედებისა და ცხოვრების დებულებათა შეგნება.

მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით იმ ფაქტების შეხება, რომელთა შედეგებს მთელი სიმწარით დღესაც უშუალოდ განიცდის საქართველო და ყოველი ქართველი, იმ ფაქტების, რომელთა ავტორნიც ცოცხალი არიან და როგორც აქტიური ერთეულნი სდგანან ერის ცხოვრების სარბიელზე — ეს თავისთავად პოლიტიკური ნაბიჯია, რაც ამ საკითხს ფრიად ართულებს. მეორე მხრივ, არა გვაქვს უფლება დავკარგოთ ის გამოცდილება, რომელიც ჩვენს ერს ყველაზე ძვირად დაუჯდა, ვინაიდან მან იმსხვერპლა თვით მიზანი ჩვენი ერისა — ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა; გამოცდილება, რომლის საფასურ სასხლიან ბეგარას დღესაც იხდის საქართველო და თავის საუკეთესო შვილთა ძვლებით ავსებს სოლოვეციკის კუნძულებს და ციმბირის ტაიგებს. არა გვაქვს უფლება ამ დაღვრილი სისხლისა და მისი ფასით მოპოებულ გამოცდილებათა დაკარგვის. ჩვენი თაობისათვის მიუტოვებელი დანაშაული იქნება, რომ მომავალში ვინმეს მოუხდეს ღია კარების თავით გამტვრევა.

აქ შევეხები ამ საკითხს ისტორიის თვალსაზრისით.

დღევანდელი მოხსენების[*] მიზანია ჩამოყალიბება იმ მუშაობის დებულებების, რომელიც სახელმწიფოს ნიადაგზე სამხედრო ხელმძღვანელობის ნორმალურ სარბიელს წარმოადგენს. ეს არის ერის სავარყო პოლიტიკა.

ყოველ სახელმწიფოს, თავის საერთაშორისო მოქმედებაში, აქვს საკუთარი გარკვეული ხაზი, რომელიც მიისწრაფის ერის ფინიკურ და ეკონომიურ ძლიერებისაკენ. ამ ხაზს ყოველი ერი უდრეკად ატარებს ცხოვრებაში. ამ თავის მისწრაფებას ერი ანხორციელებს ორ სხვადასხვა გვარის იარაღით; — დიპლომატიისა და მხედრობის საშუალებით. როგორც დიპლომატია, აგრეთვე მხედრობა წარმოადგენს პოლიტიკური ხელმძღვანელობის იარაღს; როგორც ერთი, ისე მეორე ემსახურება ერთ და იმავე მიზანს; ორივენი მოქმედებენ ერთ და იმავე ხაზით. დიპლომატია მოქმედებს მშვიდობიანი გზით, მაგრამ როდესაც მისი მოქმედება შეუძლებელი და უნაყოფო ხდება, იმავე საშუალებებს თავის ხელში მხედრობა და აწარმოებს მას ზარბაზნების და ტყვიამფრქვევთა საშუალებით. განსხვავება მხოლოდ საშუალებებშია; მიზანი და ხაზი მისწრაფების სრულიად უცვლელია. ამისათვის აუცილებელია მჭიდრო და ურყევი კავშირი დიპლომატიისა და სამხედრო ხელმძღვანელობის შორის. სამხედრო ხელმძღვანელობა, როგორც იარაღი ერის პოლიტიკისა და დიპლომატიის მოქმედების გამგრძელებელი, სულ მთლად და ყოველგვარ საიდუმლოების გარეშე უნდა იცნობდეს ერის პოლიტიკურ ხაზს და ამაზე წარმოებულ მუშაობის ყოველგვარ მდგომარეობას.

დიპლომატიისა და სამხედრო ხელმძღვანელობის თანამუშაობა სწარმოებს ჩვეულებრივ ექიმისა და ქირურგის თანამუშაობის დებულებათა ანალოგიურად.

ექიმი ფხიზლად ადევნებს თვალყურს პაციენტის მდგომარეობას და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ იგი თერაპევტული საშუალებით მოარჩინოს; მაგრამ მივა თუ არა იმ წერტილამდე, როდესაც ყველა თერაპევტული საშუალება უკვე გამოცდილი აქვს და ხედავს, რომ ქირურგიული ოპერაცია აუცილებელია — უსვამს ავადმყოფს დიაგნოზს და გადასცემს მას ქირურგს. აი, ეს ქირურგის ხელში პაციენტის გადაცემა უნდა მოხდეს თავის დროზე; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგვიანების გამო ოპერაცია შეიძლება უმიზნო შეიქნეს და ავადმყოფი ვეღარ გადაარჩინოს.

[*] ეს მოხსენება წაკითხულ იქნა ვარშავაში მიმდინარე წელს.

გადავიდა თუ არა ავადმყოფი ქირურგის ხელში, ყოველივე სდუმს და ექვემდებარება უკანასკნელის ხელმძღვანელობას.

დაუსვა თუ არა ქირურგმა პაციენტს დანა, ყოვლად შეუძლებელია ოპერაციის შეწყვეტა და ავადმყოფის მაგიდიდან ჩამოღება, სანამ ოპერაცია არ იქნება მიყვანილი თავის ნორმალურ ბოლომდე; წინააღმდეგ შემთხვევაში, მიყენებული ჭრილობა ზედმეტ გართულებად დაატყდება მას თავზე, მაშინ, როდესაც არც ძველი სენის მიზეზი აქვს მოშორებული. როგორც ავადმყოფს, ისე მის მახლობელთ სჭირდებოთ ფსიქოლოგიური მომზადება ოპერაციისათვის, რომ ეს კატასტროფად არ მიიღონ და ზედმეტ ნერვიულობით არ გაართულონ ავადმყოფის მდგომარეობა და თვითგრძნობა.

ასეთივეა ომის უწყალ ლოლიკა.

ერის პოლიტიკური გეზის გატარებას და განხორციელებას ცხოვრებაში დიპლომატია აწარმოებს და მისი მოვალეობაა იხმაროს ყოველი ლონისძიება, რომ ეს ყოველგვარ შეხლისა და კონფლიქტების გარეშე მოახერხოს. ის, სადაც შესაძლებელია რაიმე გართულების უომრად გამოსწორება, საქმის კონფლიქტამდე მისკლა და ომის ატეხა პირდაპირ ბოროტმოქმედებაა.

საქმის დიპლომატიურ გზით გადაწყვეტის საშვალეობა ამოწურულ იქმნა თუ არა, საკითხი ავტომატიურად უნდა გადაეცეს სამხედრო ხელმძღვანელობას. ერის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პირველი იარაღი უძლური შეიქმნა, მაშასადამე ავტომატიურად უნდა ავამუშაოთ მეორე. საკითხის ეს გადასკლა მხედრობის ხელში არ უნდა დაგვიანდეს თორემ მხედრობის მოქმედება, ისე როგორც ქირურგის ინტერვენცია დაგვიანების გამო შეიძლება უმიზნო და უძლური შეიქმნეს.

გავარდა თუ არა პირველი თოფი, ყოველივე სდუმს სახელმწიფოში და ექვემდებარება სამხედრო ხელმძღვანელობას, ვინაიდან ერი ქირურგის მაგიდაზეა.

დაიწყება თუ არა სამხედრო მოქმედება, არავითარ კომპრომისზე აღარ შეიძლება ფიქრი; ომი უნდა იქმნეს თავის ლოლიკურ ბოლომდე მიყვანილი და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი მიფუჩეჩება. კომპრომისი რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ხომ არც ომამდე მივიდოდა საქმე; ხოლო თუ საკითხი ტყვიამფრქვევთ გადაეცა, იგი ამ გზით თავის ლოლიკურ ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი.

როგორც თვით ერის, ისე სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა და საერთაშორისო ფსიქოლოგიას დაწვრილებითი მომზადება სჭირია მოსალოდნელ შეიარაღებულ კონფლიქტისათვის. ეს არის ომის აუცილებელი პოლიტიკური მომზადება.

როგორც ვხედავთ, არაფერი ახალი და არაჩვეულებრივი არ იქმნა ნათქვამი; მაგრამ, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, სწორედ ამ ყველა-სათვის ცნობილ, ძველ, ადვილ და მარტივ დებულებათა შეგნება და განხორციელება ყოფილა ყველაზე ძნელი.

პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობათა თანამუშაობის განხორციელების საუკეთესო მაგალითს გერმანიის გაერთიანების ხანის ისტორია იძლევა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო განხორციელება გერმანიის ერის ხანგრძლივ სულისკვეთებისა; დაეწყო გაერთიანება გერმანიის ერისა. ამ საქმეს სათავეში მოეწა პრუსიის კანცლერი დი და ბისმარკი. მას თავიდანვე ჰქონდა გარკვეული გეზი და მიზანი თავის მოქმედებისა, ეს იყო გერმანიის სახელმწიფოთა გაერთიანება კოჰენცო-ლერნების გვირგვინს ქვეშ და ურყევი გადაწყვეტილება ყოველგვარ დაბრკოლების გადალახვისა. ამ დაბრკოლებებს იგი საუცხოოდ ხედავდა.

პირველ დაბრკოლებას წარმოადგენდა უცხო სახელმწიფოთა, სახელდობრ, საფრანგეთისა და რუსეთის ჩარევა. ეს დაბრკოლება ბისმარკმა დიპლომატიის საშუალებით გადალახა. მან მოახერხა ალექსანდრე მეორესაგან და ნაპოლეონ მესამესგან გერმანიის სახელმწიფოთა საქმეებში მოქმედების სრულა თავისუფლების მიღება.

მეორე დაბრკოლება იყო ჰაბსბურგების დინასტია — ავსტრია. აქ ბისმარკი თავიდანვე ხედავდა, რომ სამხედრო გათამაშებას ვერ აიცი-დნდა. ამისათვის შეუდგა იგი ამ სამხედრო კონფლიქტის პოლიტიკურ მომზადებას. ამ მიზნით ბისმარკი სცდლობდა ავსტრიის განცალკევებას, რასაც სავსებით მიაღწია დიპლომატიის საშუალებით: ამიერიდან პრუსიასთან ომის შემთხვევაში ავსტრიას აღარ ეყოლება მოკავშირე ევროპის სახელმწიფოებში.

შემდეგ ბისმარკი დაეძებს მოკავშირეს ავსტრიის საწინააღმდეგო ომისათვის. ეს, რასაკვირველია, ავსტრიის ბუნებრივ მტრებში უნდა მონახოს. ეს ბუნებრივი როლია იმ ერისა, რომლის ეროვნულ გაერთიანებასაც წინ უდგება ავსტრია, რომელთანაც მას უკვე რამოდენიმე ომი ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ესაა იტალია.

ბისმარკი ჰკრავს სამხედრო კავშირს იტალიასთან ავსტრიის წინააღმდეგ. ამ მუშაობის თანაბრად, ომის ნიადაგს ამზადებს იგი გერმანიის სახელმწიფოთა შორისაც.

ყველა ამ დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, რომელთა გადალახვაც კი შეიძლებოდა დიპლომატიის საშუალებით, ბისმარკი უსკამს დი-აგნოზს პოლიტიკურ მდგომარეობას და გადასცემს საკითხს სამხედრო

ხელმძღვანელობას ნათელ და გარკვეულ ამოცანის სახით. იგი შემდეგვარად გამოიყურება: აუცილებელია ომი ავსტრიასთან; ავსტრია ევროპის სახელმწიფოებში განცალკევებული იქნება და არ ეყოლება მოკავშირე, პრუსიას ავსტრიის წინააღმდეგ ეყოლება მოკავშირე — იტალია. გერმანიის სახელმწიფოებიდან ავსტრიას მიეშველებიან: ბავარია, საქსონია, ვურტემბერგი, ჰანოვერი, ბადენი და ჰესენი. ომის მიზანი არ იქნება ტერიტორიალური დაპყრობა, არამედ ავსტრიის პოლიტიკის იარაღის, მის შეიარაღებული ძალების დამარცხება და მისი იძულება გერმანიის სახელმწიფოთა ურთიერთობაზე თავისი გავლენისა და ჰეგემონიის უარისყოფაზე.

სამხედრო ხელმძღვანელობა ამზადებს ომის გეგმას ამ მდგომარეობის მიხედვით. იწყება ომი, რომელსაც პრუსია ადვილად იგებს და ისე მოკლე ხანში, რომ ამას არც ერთი ევროპის სახელმწიფო და არც თვით პრუსია არ მოელოდა.

ბისმარკმა ამ ომით სავსებით განახორციელა თავისი განზრახვის პირველი საფეხური: ავსტრიის გავლენა სრულიად მოსპობილ იქნა გერმანიის სახელმწიფოთა პოლიტიკურ საქმეებში. ამ მიზანს მან სრულიად მიაღწია გერმანიის სახელმწიფოთა კრებულისაგან ავსტრიის გაძევების შემდეგ; ბისმარკმა იგრძნო, რომ მოახერხა პირველხარისხიანი სახელმწიფო ორგანიზმის შექმნა. გრძობდა აგრეთვე, რომ ეს პირველხარისხიანი ხოცნება მოპოებულია იმ სახელმწიფოს დაქვეითებით, რომელსაც აქამდე ეკუთვნოდა ეს პირველი ხმა ევროპის კონტინენტზე, რომ ეს სახელმწიფო ვერ შეურიგდებოდა პირველი ხმის დაკარგვას. ეს საფრანგეთი იყო. საფრანგეთი მეორე იმპერიისა. ეს ბისმარკმა იგრძნო მაშინ, როდესაც საფრანგეთი რაინის გაღმა ჯერ კიდევ ვერ ხედავდა თავის ინტერესებს. ცხადი იყო, რომ ვერც ამ საკითხის გადაწყვეტა მოხერხდებოდა შეიარაღებული შეხლის გარეშე. შესაძლებელი იყო, საფრანგეთს ავსტრია მიშველებოდა, ავსტრია, რომელსაც პირველად შეეჯახა ბისმარკის მიერ დაარსებული პოლიტიკური ორგანიზმი და რომელიც ჯერ, მართალია, ახალი დამარცხებული არის, მაგრამ ალბად შეეცდება თავისი ძველი მნიშვნელობის აღდგენას გერმანიის სახელმწიფოთა კრებულში. ბისმარკი, სამხედრო ხელმძღვანელობისათვის უსვამს დიაგნოზს ამ პოლიტიკურ მდგომარეობას: — მოსალოდნელია ერთდროული ომი საფრანგეთთან და ავსტრიასთან. სამხედრო ხელმძღვანელობა ამზადებს გეგმას ერთდროული ომისას საფრანგეთთან და ავსტრიასთან.

1868—69 წწ. ირკვევა, რომ ავსტრია არ მიიღებს მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტში და ომი მარტო საფრანგეთთან იქნება.

სამხედრო ხელმძღვანელობა ამ პოლიტიკურ ცვლილებას უპასუხებს მარტო საფრანგეთთან ომის ახალი გეგმის შემუშავებით.

1870 წელს იწყება ომი, რომელიც საფრანგეთის კატასტროფიული დამარცხებით თავდება.

ამ მაგალითში აღსანიშნავია შემდეგი მხარეები: —

დიპლომატია და სამხედრო ხელმძღვანელობა მოქმედებენ ერთდარიანად, რომელსაც ორივენი საუცხოოდ იცნობენ; ეს ხაზია გერმანიის ეროვნული გაერთიანება და ამ მიზნისათვის ყოველი დაბრკოლების გადალახვა. ჯარი მოქმედებს როგორც ერთი განუყოფელი ნაწილი მთლიანი ეროვნული ორგანიზმისა.

საერთო სულისკვეთების გახორციელებაში მხედრობა რამოდენჯერმე, დინჯად იღებს თავის ხელში საქმეს და მტკიცედ უძღვება მას მაშინ, როდესაც პოლიტიკური ხელმძღვანელობის მეორე იარაღი — დიპლომატია — უძლურია.

რაც შეეხება სამხედრო ხელმძღვანელობას, აღსანიშნავია, რომ არც მიაღწიეს, არც მიაღწიეს და არც მათი განხორციელება არ იდგენ არაჩვეულებრივ და გენიოსურ სიმაღლეზე. მით უფრო ძვირფასი არის ეს მოვლენა, ვინაიდან ყოველ ჩვეულებრივს, მომავლად გერმანელ გენერალს შეეძლო მთელ ამ საომარ მანქანათა ამუშევება. და ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ერის მთელი სამხედრო ვარგისობა დადებული იქნებოდა სასწორზე, ერის არსებობის საკითხის გადაწყვეტის ქამს.

პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობათა ეს მარტივი თანამუშაობა, ბისმარკისა და მოლტკეს სახით, სრულიად საკმარისი შეიქმნა მკვეთრ საძირკველის ჩასაყრელად ერთ-ერთ პირველხარისაგან სახელმწიფოსთვის, რომელიც წაგებული ომის მიუხედავად, დღეს უკეთესად გამოიყურება, ვიდრე ბევრი გამარჯვებული მისი მოწინააღმდეგე.

ამ დებულებათა ცხოვრებაში გატარების უარყოფით მაგალითს წარმოადგენს ამავე ხანის საფრანგეთის ისტორია.

ეგრეწოდებული მეორე იმპერია აწარმოებდა პრესტიჟის პოლიტიკას. მთელი დედამიწის ზურგზე, ყოველ მოვლენაში საფრანგეთის ინტერესებს ხედავდა იგი და ერეოდა შიგ. მეორე მხრივ, ამ თავისი პოლიტიკური პირველობის იარაღი — შეიარაღებული ძალა — არ ჰყავდა მას დაყენებული სათანადო სიმაღლეზე.

1855—56 წელს, საფრანგეთი ინგლისთან, ოსმალეთთან და სარდინიასთან ერთად აწარმოებს ყირიმის ომს. დასაწყისში, იმპერატორ ნაპოლეონ მესამეს ძლიერ ფართო გეგმები აქვს, რომელშიც მთელი კავკასიის განთავისუფლებაც კი შედის.

საფრანგეთი ზიდავს ამ მძიმე ომის მთელ სიძნელეს; ომი თავდება გამარჯვებით და საფრანგეთის პრესტიჟს სწევს ძლიერ მაღლა, მაგრამ ამას გარდა რეალური სარგებლობა არ მოაქვს არავითარი.

1859 წელს, საფრანგეთი აწარმოებს ომს ავსტრიასთან, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იტალიის ეროვნულ გაერთიანებას. საფრანგეთი ეხმარება იტალიელებს. მძიმე და მოუშზადებელ ომში, იტალიელებთან ერთად ამარცხებს ავსტრიელებს, მაგრამ ომი არ მიჰყავს თავის ლოღიკურ ბოლომდე; ძლიერ მალე სტოვებს იტალიელებს, არ შველის მათ ვენეციის განთავისუფლებაში და პირდაპირ ეწინააღმდეგება იტალიელების მიერ რომის პაპის ოლქის შეერთებას, რომლის დასაცავად ჰგზავნის თავის ჯარს. იტალიისათვის აწარმოებს მძიმე ომს და იმდურებს ავსტრიას, მაგრამ ომი არ მიჰყავს თავის ლოღიკურ დასკნამდე და ეწინააღმდეგება იტალიის სრულ განთავისუფლებას და გაერთიანებას. ამიტომ ვერ იგებს ვერც იტალიელების გულს და იმდურებს ამ ერსაც. ამ მოვლენის შედეგები თითქმის დღევანდელ საფრანგეთ—იტალიის ურთიერთობასაც კი ეტყობა.

1861 წელს, საფრანგეთი ერევა მექსიკის შინაურ საქმეებში. ნაპოლეონს განზრახვა აქვს მექსიკის ტახტზე აიყვანოს ჰაბსბურგთა დინასტიის წარმომადგენელი და ამით ავსტრიის გული მოიგოს. საფრანგეთი ამ უმნიშვნელო მიზნის გულისათვის აწარმოებს მძიმე ომს. შემდეგ ევროპის მდგომარეობა აიძულებს ომი შესწყვიტოს და ჯარი უკან გამოიწვიოს. ეს თავისთავად დამარცხებაა. ტახტის პრეტენდენტი მაქსიმილიანე აჯანყებულთ ხელთ უვარდება და მას ხვრეტენ. მძიმე და ხანგრძლივი ომი თავდება დამარცხებით, ავსტრიის სიმპატია ვერ იქნა მოპოვებული; საფრანგეთის პრესტიჟი დაცემულია.

1863 წელს, საფრანგეთი ერევა რუსეთის შინაურ საქმეებში და აცხადებს პროტესტს პოლონეთის აჯანყების საწინააღმდეგო მოქმედებათა გამო. ეს, რასაკვირველია, თავისთავად დადებითი მოვლენაა, მაგრამ მთელი ეს მოქმედება არ იქმნა მიყვანილი თავის ლოღიკურ დასკვნამდე. პოლონეთი არ იქმნა განთავისუფლებული, რუსეთი კი მომღურებულ იქმნა.

ამ შორეულ და მეორე-ხარისხოვან საქმეებში გართული საფრანგეთი, ვერ ხედავს, რომ ბლიუხერის სამშობლო, რომელიც ჯერ ისევ ვენის კონგრესიდან თავს შეუტარცყოფილად გრძნობდა, სისტემატიურად ძლიერდება და იარაღდება. საფრანგეთი იქამდე ვერ ერჩევა ევროპის კონტინენტის ნამდვილ მდგომარეობაში და საკუთარ ინტერესებში, რომ ნაპოლეონ მესამე აძლევს ბისმარკს სრულიად თავისუფალ ხელს ავსტრიის

წინააღმდეგ და გერმანიის სახელმწიფოთა შორის მოქმედებაში. ნაპო-
ლეონ მესამე ვერ ხედავს საფრანგეთის ინტერესებს მაშინ, როდესაც ბი-
სმარკი უკვე გრძნობს, რომ მის მიერ შექმნილი პოლიტიკური ორგანიზ-
მი ფაქტიურად პირველ ხმას იღებს ევროპის პოლიტიკურ კონსტიტუციაში და რომ ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის ფასით.

ყველა ამის გამო, საფრანგეთს 1871 წლის ომი პოლიტიკურად სრულიად მოუშნადებელს ატყდება თავზე; პოლიტიკურ მოუშნადებლობას ზედ ერთვის სრული ტექნიკური მოუშნადებლობა. საფრანგეთის სარდლობა ომს ისე იწყებს, რომ ომის წარმოების სულ უბრალო ელემე; ნტარული გეგმაც კი არ მოეპოვება. ეს ომი საფრანგეთისათვის სრული კატასტროფით მთავრდება.

რამ მიიყვანა ამ დღემდე ეს პირველხარისხოვანი სახელმწიფო? პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ მოეპოვებოდა არ ვითარი გარკვეული ხაზი თავისი მოქმედებისა. მთელი მისი მოქმედება ერთ უსისტემო და მოულოდნელ ნახტომთა კრებულს წარმოადგენს. არც ერთი პოლიტიკური ნაბიჯი არ იქმნა მიყვანილი თავის ლოლიკურ დასკვნამდე. გადასდგამს თუ არა იგი რომელიმე პოლიტიკურ ნაბიჯს, კმაყოფილდება მისი ორმოცდაათ-პროცენტიან მიფუჩეჩებით, რასაც შედეგად მხოლოდ ის მოსდევს, რომ სახელმწიფო ზიდავს პოლიტიკური გამწვავების ყოველგვარ უარყოფით შედეგებს, მაგრამ არც ერთი პოლიტიკური აქტი არ მიჰყავს იმ მდგომარეობამდე, რომ სიმძიმეთა გარდა, მან სახელმწიფოს სარგებლობაც მოუტანოს.

პოლიტიკური ხელმძღვანელობის ასეთ ოპორტუნისტულ მოქმედებას ვერ მისდევდა ვერც დიპლომატია და ვერც სამხედრო ხელმძღვანელობის აზროვნება. სამხედრო ხელმძღვანელობა არასოდეს არ იყო პოლიტიკური ვითარების კურსში, ვინაიდან ეს თითქმის შეუძლებელიც იყო, მუდმივი ხაზის უქონლობის გამო. ყოველივე მას თავზე მოუშნადებლად ატყდებოდა, და ყოველ ომს იგი იმპროვიზაციით აწარმოებდა არა ჰქონდა მას ერთი გარკვეული მიზანი და არც ერთი ომი არ მიუყვანია რაიმე დიდი გამარჯვებას. ეს ომები სუსტ და უძლურ სახელმწიფოებთან წარმოების გამო შემთხვევით გამარჯვებით მთავრდებოდნენ ხოლმე. ამ მოვლენამ შეჰქმნა სარდლობის ისეთი სახე, რომელსაც თითქმის წარმოედნაც კი არ ჰქონდა რაიმე წინასწარ განზრახული მოქმედების მომზადებაზე, და მიუხედავად დიდი ნაპოლეონის დიდ ტრადიციებისა, მიუხედავად ფრანგი ჯარისკაცის შეუდარებელ მაღალ ლირსებისა მოწინააღმდეგესთან შედარებით, მიუხედავად ერის უმაღლეს ადფრთოვანებისა და ეროვნული განვითარებისა — საფრანგეთის მთელი

შეიარაღებული ძალა საპნის ბუმტივით გაჰქრა პირველ შეხვედრისთანავე ისეთ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც სულ უბრალო და არასრულყოფილი, მაგრამ თავისი მოქმედების რალაც გეგმა მაინც მოეპოებოდა.

აქ ვხედავთ ერთი მხრივ ჯერ ისევ სუსტ სასელმწიფოს, მაგრამ გარკვეული მიზნით და მოქმედების მტკიცე ხაზით, რომელსაც აქვს სრული წარმოდგენა თავისი მიზნის და შეგნება ყოველგვარ დაბრკოლებათა შესახებ, რომელიც სისტემატიური თანდათანობით იცლის გზიდან ამ დაბრკოლებებს და მთელი მდგომარეობის შეგნებით და დიდი სიფაქიზით წინაწინვე ამზადებს თავის თვითიულ ნაბიჯს. ამგვარი მუშაობის წყალობით არც ერთი ნაბიჯი არ უცდება მას პოლიტიკურ სარბიელზე და დიდი სიძნელის მიუხედავად, სავესებით აღწევს იგი თავის დიდ მიზანს.

მეორე მხრივ, ვხედავთ მძლავრ იმპერიას, რომელიც მოკლებულია მოქმედების გარკვეულ ხაზს, რაც იწვევს აუარებელ წაბოროძიკებას პოლიტიკურ სარბიელზე და უსისტემო მოქმედებას, რასაც ძლიერი ერი ბოლოსდაბოლოს კატასტროფამდე მიჰყავს.

ამ მუშაობის საერთო დებულებების ჩამოყალიბების და ამ დებულებათა დადებითი და უარყოფითი მაგალითების განხილვის შემდეგ, გავარჩიოთ, თუ როგორ გამოიყურებოდა ამ დებულებათა განხორციელება ჩვენში, ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში.

სანამ შევუდგებოდეთ ამ საკითხის გამოკვლევას, უნდა აღვნიშნო, რომ დღეს, როდესაც ხელთა გვაქვს მოვლენათა მთელი ისტორიული მსვლელობა, როდესაც ხელთა გვაქვს ცნობების, ფაქტიურ მდგომარეობისა და მოქმედებათა მთელი კრებული, როდესაც არ გვაწევს მოქმედების პირადი პასუხისგება — ძლიერ ადვილია მდგომარეობის უტყუარი შეფასება და ამოცანის საუკეთესო ახსნა. მაგრამ უნდა გვანსოვდეს კარგად, რომ ეს სურათი სულ სხვაგვარად გამოიყურება თავისი ნამდვილი ისტორიული მსვლელობის ხანაში, როდესაც მას უშუალოდ განიცდის მოვლენათა ავტორი; როდესაც მას ხელთ აქვს მხოლოდ ის ცნობები, რომლის მოპოებაც მან მოახერხა; როდესაც მას საქმე აქვს მოწინააღმდეგის ნიღაბ მოხსნის ნებისყოფასთან; როდესაც ძლიერ ადვილია ყალბი შთაბეჭდილების შექმნა და როდესაც მას კისერზე ადგია აჩრდილი პასუხისგების ერის და ისტორიის წინაშე. ამ პირობებში, რასაკვირველია, შეუდარებელი ძნელია მდგომარეობის შეფასება და იქიდან საუკეთესო გამოსავალის მოძებნა.

დღეს დანაშაულია: — რომელიმე ბრალდებული პიროვნების ან ჯგუფის ძებნა. დღეს ჩვენი მიზანია მხოლოდ ერთი: — გამოვარკვიოთ რა იყო ეს და რის ვაკეთება შეიძლებოდა ჩვენი არსებობის პირობებში.

აქედან უნდა გამოვიტანოთ დებულებანი ჩვენი მომავალი მოქმედებისათვის, რომ არ დაიკარგოს ის სისხლი; რომელიც გაიღო საქართველომ და დღესაც ანთხევს მას ამ გამოცდილების საფასურად.

ამ საქმის წარმოება იქ, საქართველოში, ჩეკისტების ხელში ყოველად შეუძლებელია. ეს არის როლი და მოვალეობა ჩვენი — ემიგრაციისა. ეს უნდა გაკეთდეს აქ, და გაკეთდეს სრულიად ობიექტიურად, ძველი ანგარიშების გასწორების ატმოსფეროს გარეშე. ეს არის ემიგრაციის მოვალეობა და ეს იქნება ჩვენი პირველი გამოცდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანის მოვლენათა დღეს წარმოებულნი შეფასება არაა უბრალო ცნობისმოყვარეობა, არამედ ისტორიული ანალიზი ფაქტების, რომლის შინაარსი და მნიშვნელობა უნდა გამოვიყენოთ და ვიხელმძღვანელოთ მომავალში, რომელწინადაც უნდა დავამყაროთ ჩვენი აწინდელი ეროვნული და პოლიტიკური ვარგისობა.

ეს გარემოება გვიკარნახებს გულახდილად აღინიშნოს ყოველი ფაქტი და ყოველ მოვლენას დაერქვას თავის ნამდვილი სახელი. მტკიცე ხელით უნდა ჩამოვაშოროთ ამ საკითხს ისტორიული შეფეროვნებანი, რომელნიც შეიძლება ეროვნულ თავმოყვარეობას კი აკმაყოფილებენ მაგრამ ვერ მოგცემენ იმას, რაც დღეს ჩვენთვის აუცილებელია — პრაქტიკულ გამოცდილებასა და პრაქტიკულ გეზს მომავალისათვის.

თავისთავად ცხადია, ვერც ერთ ისტორიულ პიროვნებას ვერ მოეთხოვება, რომ ყოველი მდგომარეობა იდეალურად გამოიყენოს და ამოსწუროს აქედან სარგებლობის მაქსიმუმი, მაგრამ საქმის თეორიული გარჩევის დროს, დიდა¹ტიური თვალსაზრისით, ჩვენ მუდამ უნდა აღვნიშნოთ ის მაქსიმუმი, რომლის მიღწევაც საქართველოს შეეძლო.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო - ს ო მ ხ ე თ ი ს ო მ ი

პირველი პოლიტიკური აქტი, რომელსაც მთელი ამიერკავკასიის მნიშვნელობა ჰქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვა და სხვა მცირე მნიშვნელოვან მოვლენას, საქართველო—სომხეთის ომი იყო. ამ ომის წინამორბედი საერთო პოლიტიკური მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: —

სომხეთი, ამიერ კავკასიის რუსეთიდან გამოყოფის პროცესს, დღიდან ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, უარყოფითად შეხვდა, რასაც ამ ერის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ყოველთვის აშკარად აღნიშნავდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღეებშივე სომხეთმა არა სცნო საქართველოს პოლიტიკური საზღვრები და ეს ოფიციალური პრაქტიკით აღნიშნა. სომხეთის პოლიტიკური ხაზი აშკარად მიისწრაფოდა რუსეთთან შეერთებისკენ და თავისი საზღვრების 1914 წლის სახით აღდგენისაკენ. საქართველოს ჩრდილოეთით არსებული დენიკინის მოხალისეთა ლაშქარის პოლიტიკური ორგანიზმი, სომხეთისათვის, რუსეთის სრულიად მისაღებ სახეს წარმოადგენდა. სომხეთის ჯარი ოფიციალურად დენიკინის სათადარიგო ლეშქრად ითვლებოდა. (*) დენიკინის მოხალისე ოფიცრები, რომელნიც დენიკინთან წასვლას ვერ ახერხებდნენ, სომხეთში მიდიოდნენ. (**)

როგორც სომხეთი, ისე მოხალისეთა ლაშქარი ანტანტას თავის ბუნებრივ მოკავშირეთა სთვლიდნენ. როგორც ვხედავთ, საკითხი სცილდება ამიერკავკასიის ფარგლებს, ვინაიდან კავკასიის შინაურ საქმეებში უცხო ძალებია ჩარეული.

ჯერ ისევ გერმანელთა საქართველოში ყოფნის დროს სცადა სომხეთმა იარაღით ხელში საზღვრების შესწორება, მაგრამ ეს ვერ მოახერხა.

როგორ იცნობს და როგორ აფასებს ამ მდგომარეობას ქართველი საზოგადოება?

აღსანიშნავია, რომ ყოველი პოლიტიკური ჯგუფი, მთელი ქართული პრესა და თვითეული ქართველი საუცხოოდ იცნობს მდგომარეობას და შეუცდომლად :ხასიათებს მას. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ დენიკინი საქართველოს და საერთოდ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არა სცნობს; რომ ეს საკითხი აუცილებლად იარაღით იქნება გადაწყვეტილი და, რომ ამ სამხედრო გათამაშებაში სომხეთი აქტიურად მიეშველება მას. ქართულ საზოგადოებას ეტყობა პირველი ნიშნები ეროვნული გაღვიძების და დიდი პატრიოტული აღფრთოვანებისა. იგი იცნობს საუცხოოდ პოლიტიკურ მდგომარეობას და მოწინააღმდეგეთა წინაშე არა გრძნობს არც შიშს და არც უყურადღებობას. არის პირდაპირ იდეალური პირობები პოლიტიკურ მომზადებისა, იმ ომისა, რომლისთვისაც, ვიცით, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი დიდი ხანია ვმზადებიან.

(*) ხან მერვე არმიად იხსენებოდა ხოლმე.

(**) სომხეთში წავიდა აგრეთვე პოლკის უფროსი გარბაჩოვი, რომელმაც ალბულალის ყაზარმები გატეხა და გაცარცვა. შემდეგ სომხეთის მხარედან პარლამენტორის როლიც ითამაშა.

ერის პოლიტიკურ ხელმძღვანელობამ უნდა დასვას მდგომარეობის დიაგნოზი, რომელიც ამ მდგომარეობაში მარტივად გამოიყურებოდა: — მოსალოდნელია ერთდროული ომი მოხალისეთა ლაშქართან და სომხეთთან. — მას უნდა მოეთხოვა სამხედრო აპარატისაგან ამის მომზადება და მიეცა მისთვის საამისო საჭირო საშუალებანი.

მოვლენათა ისტორიული მსვლელობა გვიჩვენებს, რამდენად იქმნა ეს საკმე მომზადებული.

ცენტრალურ სახელწიფოთა კავშირი მარცხდება. ანტანტის ძალები იკავებენ სტამბოლს.

ბორჩალოს მაზრაში იწყება სამხედრო მოქმედება. ვგონებ, არ არის ძნელი მდგომარეობის უტყუარი შეფასება. საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ჯერჯერობით ერთი საკითხი აინტერესებს: — აჯანყებაა ეს, თუ ომი?

ამ მოქმედებებში უკვე მარცხდება საქართველოს შეიარაღებული ძალების საგრძნობი ნაწილი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული: — ომია ეს, თუ აჯანყება!

უკვე მტრის ხელშია საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც სატახტო ქალაქის უშუალო ბუნებრივ ზღუდეებს შეიცავდა...

უკვე თვით სატახტო ქალაქი უშუალოდ შედის ბრძოლის სფეროში; აქ ირკვევა, რომ ომია და არა აჯანყება. ცხადდება ომი და მობილიზაცია.

ვიგებთ გარდამწყვეტ ბრძოლას, მაგრამ ვეღარ ვახერხებთ მის პოლიტიკურ გამოყენებას. ჩამოერევა ინგლისი.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდამწყვეტ ბრძოლის მიუხედავად, ომი ფაქტიურად წავაგეთ, ვინაიდან ვერ მოვახერხებთ რესპუბლიკის საზღვრების აღდგენა. დაარსებულ იქმნა ნეიტრალური ზონა, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ მოსწამლა ამიერკავკასიის პოლიტიკური ატმოსფერო, და მოგვისპო შემდეგ მოვლენათა რეალური შეფასების საშუალება. — ამ ომის წარმოებაში შემდეგ ღირსშესანიშნავ მოვლენებს ქონდა ადგილი: —

იმის მიუხედავად, რომ ქართული საზოგადოება კარგად იცნობდა მდგომარეობას, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ეს ომი პოლიტიკურად სრულიად მოუმიზანდებლად დაატყდა თავზე. აქედან, თავისთავად ცხადია, სამხედრო ხერმძღვანელობასაც არ ჰქონდა დასმული სათანადო ამოცანა და მისაღწევი მიზანი.

სრულიად უაზრო იყო საკითხი: —

«აჯანყებაა ეს, თუ ომი», რომლითაც დაინტერესდა პოლიტიკური ხელმძღვანელობა და რომლის გამორკვევასაც უქვემდებარებდა იგი თავის მოქმედებას.

ეს თავისთავად სულ ერთია, აჯანყებაა თუ ომი, როდესაც ფაქტიურად სამხედრო მოქმედება უკვე სწარმოებს; როდესაც ამ მოქმედების შედეგებს, თავისთავად ცხადია. უეჭველად გამოიყენებენ რესპუბლიკის მოწინააღმდეგენი და ეცდებიან დაგვაყენონ ფაქტის წინ. პირველი თოფის გასროლის დღიდან, ეს საკითხი ავტომატიურად უნდა გადასულიყო მარსის მოგვების ხელში. ამის სათანადო ავტორიტეტი სამხედრო ხელმძღვანელობას უნდა ჰქონოდა ერისა და მისი მართველობის თვალში. და ეს ავტორიტეტი მას რომ არ ჰქონოდა, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას იგი თვითონ უნდა შეექმნა ხელოვნურად.

დღეს ვერც ერთი დიდი სახელმწიფო ვერ გაბედავს ამდაგვარ ექსპერიმენტის გაკეთებას, რომ უკვე დაწყებულ სამხედრო მოქმედებას პოლიტიკური საშუალებით უპასუხოს. მით უფრო, არა გვქონდა ამისი უფლება ჩვენ, როგორც ახალ სახელმწიფოს, რომელსაც ჯერ კიდევ ფეხი მაგრად არ ჰქონდა მოკიდებული.

რასაკვირველია, არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ დამოუკიდებლობის პირველ დღეებშივე მთელ სახელმწიფო აპარატს უხინჯოდ ემუშავა. მაგრამ მთელის სიმტკიცით და გადაწყვეტით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ: ის რაც შეეძლო სომხეთს, შეეძლო საქართველოსაც და შეეძლო რამდენჯერმე უკეთესად საელმწიფო აპარატის სრულყოფილებისა და ეკონომიური მდგომარეობის უმჯობესობის წყალობით. ამიტომ სომხეთის მობილიზაციას არ უნდა გაესწრო ჩვენთვის თითქმის ერთი კვირით.

ტეხნიკის მაღალი საფეხურის მიუხედავად, დღეს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მოახერხებს ამდენი ხნით გაასწროს მობილიზაციაში თავის მეზობელს. ეს მხოლოდ საათების საკითხია. მით უფრო არა გვქონდა უფლება ჩვენ, მეზობლებისათვის ასეთი კოზირის მიცემისა; მაშინ, როდესაც სრულიად ნათლად იდგა ჩვენს წინაშე ერთდროული ომის აჩრდილი ორ შეკავშირებულ მეზობელთან, რაც გვაიძულებდა ჩვენ ორ ფრონტზე ერთდროული ომის წარმოებას.

დღეს, მათემატიკური სიზუსტით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს შეეძლო მოეგო ერთდროული ომი 1918 წელს, მონახლისეთა ლაშქართან და სომხეთთან; მაგრამ გადავავლოთ თვალი ფაქტების ისტორიულ მსვლელობას და ვნახოთ რა იყო გაკეთებული ამისთვის.

არ ვვხვები იმ საიდუმლო ცნობებს, რომელიც უეჭველად უნდა ჰქონოდა სათანადო ორგანოებს; დავემყაროთ მხოლოდ იმ ფაქტებს, რომელნიც ცნობილი და ნათელი იყვნენ ჩვეულებრივ მომაკვდავთათვის.

სომხეთისა და დენიკინის ლაშქართა კავშირი და მათი ერთდროული ამოქმედების განზრახვა არავისთვის არ წარმოადგენდა საიდუმლოებას. დენიკინმა, ბოლშევიკების მოულოდნელი შეტევისა და სტავროპოლის დატოვების გამო, ვერ მოახერხა სომხეთთან ერთად სამხედრო მოქმედების დაწყება. მაგრამ ჩვენთვის ეს მხოლოდ ხელსაყრელი შემთხვევა იყო და არა ჩვენი დამსახურება.

საქართველომ მობილიზაცია მაშინ გამოაცხადა და კონცენტრაციის იმპროვიზაცია მაშინ დაიწყო, როდესაც სატახტო ქალაქი უკვე უშუალოდ ბრძოლის სფეროში იმყოფებოდა. მერე ჩრდილოეთის ფრონტზედაც რომ ამავე დროს დაწყებულიყო სამხედრო მოქმედება? (და ეს დაიწყებოდა კიდევ, ბოლშევიკებს რომ ხელი არ შეეშალათ!)

ჩვენი საზოგადო აზრი არ იყო იმდენად მომზადებული, რომ ჩვენ შეგვეძლებოდა ძალების ჩრდილოეთით გაგზავნა მთავარი მტრის წინააღმდეგ, და ტფილისთან ბრძოლა არ მიგვეღო. ჩვენ უეჭველად ჩავებმებოდით მთელი ძალებით ტფილისისათვის სომხეთთან ბრძოლაში. რომ ეს ბრძოლა სასწაულებრივ, სისწრაფით მობილიზაციის პირველ დღესვე მოგვეგო და მოგვეგო ისე, რომ არც ერთი სომეხი ჯარისკაცი სომხეთში აღარ დაბრუნებულყო, და ამ ბრძოლის პირველ დღესვე დაგვეწყო (რასაკვირველია, ეს ყოვლად შეუძლებელია) ჩვენი ჯარების დენიკინის წინააღმდეგ გადაჯგუფება, ამას ჩვენ ჩვენი ტენიკური საშუალებით იდეალურ პირობებში, სულ უკანასკნელი, ერთ კვირას მაინც მოვანდომებდით. ამ ხნის განმავლობაში, მოხალისეთა ლაშქარს წინ არავინ ეყოლებოდა. ეს სავსებით საკმაო დრო იყო ომის ე. ი. ჩვენი არსებობის სამუდამოდ წაგებისათვის.

ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ გვქონდა საშუალება. თითქმის არითმეტიკული სიზუსტით, დენიკინთან და სომხეთთან ერთდროული ომის მოგებისა. მაგრამ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ომი წაგებული იქმნა, და წაგებული იქმნა პოლიტიკური მოუმზადებლობის გამო. 1918 წელს საქართველო გადაარჩინა მხოლოდ მოულოდნელმა შემთხვევამ. საუცხოო მაგალითი იმის, თუ რამდენათაა დამოკიდებული ომის ბედი სხვა და სხვა მოულოდნელ შემთხვევაზე; მეორე მხრივ, ომის წარმოების ის მათემატიკური მხარეები, რომლის მომზადება შეუძლია და მოვალეა მოამზადოს ერის უზენაესმა ხელმძღვანელობამ. საერთოდ მთელი ეს ფაქტი წარმოადგენს ომის პოლიტიკური წაგების კლასიკურ მაგალითს, ჯერ ისევ ჩვენ მიერ მისი ფაქტიურად დაწყების წინ. დღეს არც ერთი დიდი სახელმწიფო, რომელთა სამხედრო ძლიერება სდგას ისეთ სიმაღ-

ლწე, რომ მოახერხებს ყოველგვარი პოლიტიკური მდგომარეობის საკუთარ სურვილისამებრ გამოსწორებას, არა შემთხვევაში არ გაბედავს პოლიტიკური თამაშის იქამდე მიყვანას, რომ მან სამხედრო მდგომარეობაზე უშუალო გავლენა მოიპოვოს. მით უფრო ჩვენ, სუსტ და პატარა სახელმწიფოს, არ გვქონდა უფლება პოლიტიკური ექსპერიმენტი იქამდე მიგვეყვანა, რომლის გამოსწორება ჩვენი ლაშქარის შესაძლებლობას აღემატებოდა.

მესამე უარყოფითი მოკლენა იყო ომის გათავება ისე, რომ იგი ლოღიკურ ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, მის გამომწვევ საკითხების გადაუწყვეტლივ. ეს ინგლისის ინტერვენციის შედეგი იყო. კი, დღეს ყველამ ვიცით, რომ შეგვეძლო მაშინ არ დაგვეგდო ყური მათთვის, მაგრამ ამან არ უნდა შეგვიშალოს ხელი საქმის ობიექტურ განხილვაში; რომელი ჯკუჟავაც არ უნდა ყოფილიყა მაშინ საქართველოს სათავეი, მაშინ როდესაც ტფილისის ქუჩებზე უკვე დასერიზობდნენ ჩიბუხით პირში, ინგლისის პირველი ერთეულის ჯარისკაცები, ამ ინტერვენციას ყველა დემორჩილებოდა. [ის სულ სხვაა, რომ ჩვენ შეგვეძლო და უნდა მიგვეხერხებია ამ საკითხის ინგლისელების ჩამოსვლამდე გადაწყვეტა.]

გარეშე ძალების ასეთი ზეგავლენა არ იყო პირველი შემთხვევა ისტორიაში. შეაშინა იმავე ინგლასმა და შეაჩერა რუსეთის გამარჯვებული ჯარი სან სტეფანოსთან, სტამბოლიდან ერთი ზარბაზნის გასროლის მანძილზე, 1878 წელს.

ჩაერიენ რუსეთი და ევროპის სხვა სახელმწიფოები 1895 წელს იაპონია ჩინეთის საქმეებში და აიძულეს იაპონია დაეტოვებია ლიანტუნგის ნახევარკუნძული, რომელიც მან სიმონეკის ზავის პირობებით ჩამოართვა ჩინეთს ძლევამოსილი ომის შემდეგ.

მაგრამ ჩვენი უბედურება იმაში გამოიხატებოდა, რომ ამისათვის საკმარისი შეიქნა შოტლანდელების უბრალო პოლკის უფროსის, პოლკოვნიკ სტიუარტის მიერ სასტუმრო «ორიანტ»-ის ბლანკეტზე დაწერილი წერილი.

მართალია, ისტორიაში ასე ხშირად ხდებოდა, მაგრამ, თუ სხვა სახელმწიფოებისთვის ეს ფაშოდის ინციდენტის ან ჩინეთის მოვლენების ხარისხის აქტი იქნებოდა, ჩვენთვის ყოველივე კონფლიქტი პოლიტიკური და თვით ფიზიკური ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი იყო. ეს გარემოება კი გვავალებდა ყველაზე მეტ სიფრთხილეს და მომზადებას.

ეს არ არის არავისი ბრალდება; ეს არ არის არავისი გამართლება; ესაა მხოლოდ აღნიშვნა იმ ფაქტების, რომელიც საქართველოსათვის ერთხელ უკვე მომაკვდინებელი შეიქმნენ, რომელთა განმეორების უფლება არავის აქვს და რომელთა განმეორებასაც ისტორია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი თაობის დანაშაულად ჩასთვლის.

ნ ა ვ თ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ა

მ ს ო ზ ლ ი ო ო მ შ ი

8

ს ა ნ ა ვ თ ო პ ო ლ ი ტ ი კ ა და ს ტ რ ა ტ ე გ ი ა : —

ს პ ა რ ს ე თ ი ს ა კ ე ნ !

მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ ინდოეთის (ოსტ-ინდინ) სავაჭრო კომპანიამ ინდოეთის ნაპირზე ფეხი შესდგა, და ინგლისი გადაიქცა სახელგაო და კოლონიალ სახელმწიფოდ, — განსაკუთრებით ინდოეთში ფეხის მომაგრების შემდეგ (1757—1784 წწ.), ინგლისის პოლიტიკა იყო: — ინდოეთისაკენ მიმავალი ყველა გზა, ხმელეთით თუ ზღვით, ხელთ ჩაეგდო და ამით თავისი ბატონობა ინდოეთზე უზრუნველყო.

მეთვრამეტე საუკუნის დამდეგიდან დღემდე ინგლისი შეუწყვეტლივ და მიზანშეწონილად აწარმოებს აღნიშნულ პოლიტიკას, და ამ პოლიტიკაში შედიოდა არაბეთის ზღვაზე მისი ბატონობის გაგრძელება და და ამ მიზნით სამხრეთ სპარსეთში ფეხისმოკიდება. მაგრამ სხვა ვინმესაც ეჭირა თუაღი არაბეთის ზღვისაკენ და ამ ასპარეზზე გაჩაღდა დავა.

ინგლისსა და რუსეთს შორის დიდ ხანს გაგრძელდა ეს დიპლომატიური ომი სპარსეთზე ბატონობისათვის. პირველად იგი დასრულდა 1907 წლის შეთანხმებით, რომლის მიხედვით: — რუსეთმა და ინგლისმა (რასაკვირველია, სპარსეთის დაუკითხავად!) გაინაწილეს სპარსეთი თავისი გავლენის სფეროებად: ჩრდილოეთ სპარსეთი უნდა ყოფილიყო რუსეთის გავლენაში, სამხრეთ სპარსეთის ზონა კი ინგლისის სფეროში.

სპარსეთის უდიდეს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ზედაერთო შემდეგში ნავთის საკითხი, რომელმაც სპარსეთის ისედაც აწეწილი ცხოვრება მეტისმეტად გაართულა.

ჩრდილოეთი, შუა სპარსეთი და განსაკუთრებით სამხრეთი სპარსეთი მდიდარი არის ნავთიანი ადგილებით.

1901 წელს, ერთმა ავსტრალიელმა, გვარად ე. კ. დ'არსიმ მიიღო სპარსეთის მთავრობისაგან კონცესიად ხუთასი ათასი კვადრატ-მეტრი სანაოსნო ადგილები (ჩალის ფასად!) სამხრეთ სპარსეთში.

1904 წ., როდესაც ნავთის სამხედრო მნიშვნელობა ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად ცნობილი არ იყო, — ინგლისის საზღვაო მმართველობას თავში ედგნენ ლორდ ფიშერი და ლორდ სელბორნი, რომელთაც შეჰქმნეს განსაკუთრებული კომიტეტი — ადმირალტი თილ კომიტეტი — იმ დავალებით, რომ გარკვეული ყოფილიყო ნავთის ხმარების სარგებლობა სამხედრო ფლოტისათვის. ამის შედეგად, როგორც უკვე წინა წერილში აღვნიშნე, ინგლისის სამხედრო ფლოტმა დაიწყო ნავთის ხმარებაზე გადასვლა და ამგვარად: — თვითონ ინგლისი დაინტერესებული გახდა ნავთიან ადგილებზე კონცესიების მოპოვებით ან კონტროლის მიღებით.

ზემოაღნიშნულ კომიტეტს დაევალა აგრეთვე ფლოტისათვის ნავთის მიწოდების საკითხის გამორკვევა და მოგვარება. მაგრამ 1906 წ., ოდეს შეიარაღების შემცირებაზე ბევრი იყო ლაპარაკი, ინგლისის ლიბერალურმა მთავრობამ შესწყვიტა ამ კომიტეტის მუშაობა და შემდეგ, მხოლოდ მაშინ, როდესაც ლორდი ჩორჩილი გახდა ინგლისის ადმირალიტეტის ხელმძღვანელი, ლორდ ფიშერის მიერ დაწყებული საქმე გაგრძელებულ იქნა იმავე გზით.

1913 წლის ივლისის 17-ს, ადმირალიტეტის პირველმა ლორდმა უინსტონ ჩორჩილმა განაცხადა პარლამენტის კომიტეტში: —

«უმთავრესია, რომ ნავთის მარაგი ბრიტანეთის კონტროლში და ბრიტანეთის გავლენაში მყოფ წყაროებიდან რაც შეიძლება მეტი მივიღოთ და იგი იმ საზღვაო და საოკეანო გზებით ვზიდოთ, რომელიც სამხედრო ფლოტით იოლად და უზრუნველად დაცული იქნება... ჩვენ არ უნდა ვიყოთ დაძვინდებული არავითარი მოვლენისაგან, არც ერთი ქვეყანისაგან, არავითარი სანავთო საზოგადოებისაგან, არც ერთი გზისაგან და არავითარი ნავთიანი ადგილებისაგან».

ლორდ ფიშერი, ამ დროს «როიალ კომიშენ»-ის თავჯდომარე, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებიდან სანავთო საკითხს მუდმივად თავს დასტრიალებდა და რომელსაც «ნავთის მანიაკს» უწოდებდნენ, ბეჯითად და თავგამოდებით მხარს უჭერდა ჩორჩილს და ამტკიცებდა: —

«მნიშვნელოვანია და არსებითი, რათა ჩვენი საზღვაო გზები დაცულ იქნეს, სულ მცირე, ერთი დიდი სანავთო საზოგადოება შევიძინოთ, რომელსაც ნავთის საკმაოდ მარაგი გააჩნია და რომელიც მთავრობასთან ფინანსიურად და კონტრაქტული ვალდებულებით დაკავშირებული უნდა იყოს»-ო.

აქედან იწყება ბრიტანეთის სახელმწიფო სანავთო პოლიტიკა.

«ადმირალტი ოილ კომიტეტი»-მა მთავრობას წინადადება მისცა შეეძინა მას ზემოდასახელებული დაწესის სანავთო საზოგადოების აქციონარი რიცხვის უმრავლესობა.

ამასთანავე ჩორჩილმა სრულიად საიდუმლოდ, სამხრეთ სპარსეთს გაგზავნა გეოლოგიური კომისია რირ ადმირალ სერ ედმონდ სლეიდის თავჯდომარეობით; ამ კომისიამ საფუძვლიანი კვლევები შემდეგ დაასკვნა, რომ დაწესის მიერ საკონცესიოდ აღებული ადგილი ნავთით მდიდარი არისო.

ამ მოხსენების მიღების შემდეგ, 1914 წლის ივნისში, ჩორჩილმა წარუდგინა პალატას ბილი, რომლითაც მოითხოვა ორ მილიონამდე გირ. სტერლინგი დაწესის სანავთო საზოგადოების — ანგლო-პერზიან ოილ კომპანი — აქციების შესაძენად და სერ ედუარდ გრეის მხარისდაჭერის შემდეგ ბილი მიღებულ იქნა პალატის მიერ. ეს მოხდა მსოფლიო ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე და სანამ ინგლისი ომში ჩაერეოდა, მანამ გადადგა მან შესაფერისი ნაბიჯი სამხრეთ სპარსეთში ნავთიან ადგილებისა და სანავთო წარმოების დასაცავად. ასე და ამგვარად, მოკლე ნაამბობით, თვით სახელმწიფო — ინგლისი — გახდა სანავთო სამრეწველო საზოგადოების პატრონი და დაიწყო პრაქტიკულად სანავთო პოლიტიკის წარმოება.

თუ როგორ თავის დროზე და მიზანშეწონილად მოქმედებდა ინგლისის მთავრობა, სჩანს სერ საიკსის წიგნიდან [პისტორი ოვ პერზია]: —

«სანამ ოსმალეთი ატყუალურად ომს გამოაცხადებდა», სწერს იგი, «ინდოეთის მთავრობა, რომელსაც შეგნებული ჰქონდა, რომ ეს ომი დაიწყებოდა, აგზავნის ბრიგადას ბარეინის კუნძულებზე. ომის გამოცხადებისათანავე ამ ჯარებმა ხელთ ჩაიგდეს ფორტი ფაო და გაიწიეს შატ ტელ-არაბისაკენ, რათა დაეცვათ ანგლო სპარსული სანავთო კომპანიის [ანგლო პერზიან ოილ კომპანიის] სანავთო რაფინერიები [ნავთის საწმენდი ქარხნები] აბადინ-ის კუნძულებზე».

ომის გამოცხადებისათანავე ოსმალთა ჯარებმა შეუტიეს ერთი მხრივ კავკასიის ფრონტზე ბაქოს დასაკავებლად და მეორე მხრივ: სამხრეთ სპარსეთისაკენ ნავთიანი ადგილების ხელჩასაგდებად და ინგლისის ფლოტისათვის სანავთო წყაროს წასართმევად. მაგრამ სრულიად მალე ინგლისელებმა უპასუხეს კონტრშეტევით და გენერალ სერ საიკსის ხელმძღვანელობით ოსმალეები უკუგდებულ იქნენ. შემდეგ: გერმანელების აგენტებმა და ოსმალეებმა მოაწყვეს სპარსეთში ბაქტიარებისა და სხვა ტომების აჯანყებანი, რომელნიც საიკსის მიერ ჩაქრობილ იქნენ.



ამნიარად: ოსმალეთის სანავთო ლაშქრობა დამარცხდა, და ინგლისის სამხრეთ სპარსეთიდან ნავთი არ მოჰკლებია, შეუწყვეტლივ გაჰქონდა, რადგან მისი ძლიერი ფლოტი სხვავა გზებს დარაჯობდა და ნავთის გადაწიდვას უზრუნველჰყოფდა.

მაგრამ ეს სამხედრო გამარჯვება სამხრეთ სპარსეთის სანავთო ასპარეზზე ინგლისისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მან მოისურვა თავისი გავლენის სპარსეთში გაფართოება და ახალი ნავთიანი ადგილების შექმნა. 1915 წლის მარტში ინგლისის მთავრობამ საიდუმლო ხელშეკრულება დასდო რუსეთის მთავრობასთან. სპარსეთის შესახებ. ამ უკანასკნელმა ე. ი. რუსეთმა დაუთმო ინგლისს საგავლენო ზონად შუა სპარსეთიც. ამ საიდუმლო ხელშეკრულების მიხედვით, ინგლისს უნდა მიეღო კონტროლის უფლება ამ, აქამდე ნეიტრალურ ზონაზე. [იხილეთ: რ. სტ. ბაკერ: ვ. უილსონ. ტომი მეორე, დოკუმენტე. ლაიპციგი, 1923 წ.] რუსეთმა თავის მხრივ განამტკიცა თავისი ბატონობა ჩრდილოეთ სპარსეთში, რაც მსოფლიო ომის დროს შესრულებულ იქნა იქ რუსული ჯარების შეყვანით.

ამგვარად, ინგლისმა კიდევ უფრო გაადიდა თავის გავლენაში მყოფი ნავთიანი ადგილები, და რუსეთის გავლენაში კი მოხვდა მეტად მდიდარი ნავთით ჩრდილო სპარსეთი, სადაც სანავთო პოლიტიკის მაწარმოებლად გამოვიდა ასპარეზზე ბ. აკაკი ხოშტარია.

მაგრამ ეს საიდუმლო ხელშეკრულება არსებითად განუხორციელებელი დარჩა: რუსეთი რევოლუციამ ჩაყლაპა, და იმის მიუხედავად, რომ 1919 წლის აგვისტოში ინგლისმა ხელშეკრულება დასდო სპარსეთს, რომლის მიხედვით სპარსეთი მთლიანად ინგლისის ფაქტიურ გავლენაში ხვდებოდა, მან, ინგლისმა მაინც ვეღარ მიღწია მიზანს, ვერ განახორციელა თავისი ფართო პოლიტიკა და იძულებული გახდა ისევ სამხრეთი სპარსეთის კონცესიით განესაზღვრა თავისი სანავთო ინტერესები დროებით მაინც!.*

რაც შეეხება შემდეგ მომხდარ ამბებს: რუსეთისა და ინგლისის წასვლას სპარსეთიდან, ხოშტარიას კონცესიის თავგადასავალს და ამერიკულ სანავთო კომპანიათა ბრძოლას,— ეს უკვე მსოფლიო ომის ხანას აღარ ეკუთვნის და რომ ჩემი წერილების ფარგლებიდან არ გამოვიდე, ამიტომ მას აღარ შევეხები.

(*) დაწვრილებით სპარსეთ — ინგლისის დამოკიდებულების შესახებ იხილეთ ჩემი წერილი: «პეტროლიუმპოლიტიკ დერ ველტ უნდ დას შიკზალ პერსიენს». «ტეგლიხე ბერიხტე უებერ დი პეტროლიუმ-ინდუსტრიი». ვიენ, 1928

სანავთო სტრატეგია და ბრძოლანი

მცირე აზიაში

უკვე მოვიხსენიე ის პირველი ბრძოლა ნავთისათვის, რომელიც გაჩაღდა ბაღდადისა და მოსხულის სარკინიგზო კონცესიის გამო. მსოფლიო ომის დროს ინგლისმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ოსმალეთს და დიდი ძალა მიაყარა როგორც დარდანელს, ისე მცირე აზიის ფრონტებს.

«ბრიტანეთის გეგმათა საფუძველი იყო უსათუდ პოლიტიკური დაპყრობისა და სამფლობელოების მორგვალების სურვილის გარდა, აგრეთვე მესოპოტამიის ნავთიანი ადგილები». [იხ. ე. შულცეს ნარკვევი წიგნში: «დას ვირტუმაგეტსლებენ დერ ტურკაი», ტ. მესამე, ბერლინი, 18]

მართლაც: ინგლისის ჯარს მოუხდა დიდი მსხვერპლის მიტანა და ბევრი სისხლი დაიღვარა, სანამ იგი შესძლებდა მესოპოტამიის დაკავებას. ამ ოპერაციებმა მცირე აზიაში გამოიწვია უკმაყოფილება და საყვედური ინგლისის საზოგადოებაში, ვინაიდან მსხვერპლი მართლაც დიდი იყო; მაგრამ ამ სამხედრო ოპერაციებს ჰქონდა არა მარტო სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ სანავთო მიზანიც.

«უბედური ექსპედიცია მესოპოტამიაში, დაწყებული იყო უმთავრესად სწორედ ამ სანავთო ინტერესების გულისათვის...» («ეკონომისტ», ლონდონი, 1920)

ინგლისელი ფელდმარშალი რობერტსონი ერთ თავის მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ მცირე აზიაში, ჩვენ სტრატეგიაზე პოლიტიკა ბატონობდა. ესლა უკვე ცნობილი არის, რომ ექსპედიცია მესოპოტამიაში მოწყობილი და შესრულებული იყო სამხედრო ექსპერტების დასკვნის წინააღმდეგ. (სერ ვ. რობერტსონ: «სოლჯიერს ენდ სტეიტსმენ», ლონდონი, 1926).

ეს უსაბუთო თქმა არ არის. ინგლისის პოლიტიკის ხელმძღვანელებს სავსებით გარკვეული აზრი და მიზანი ამოქმედებდა მცირე აზიაში და ამ მიზანს შესწირეს უამრავი მსხვერპლი. უინსტონ ჩორჩილმა თავის წიგნში: «უორლდ კრაისის» მოათავსა ლორდ ფიშერის ბრძანება, რომლის მიხედვით ინგლისის ჯარს უნდა დაეკავებია ბეზიკა, ჰაიფა, ალექსანდრეტი და სხ. «ეს ქალაქები», ბრძანებდა ლორდ ფიშერი, «ნამდვილად უნდა იქნენ დაკავებული, ამ სამოთხის ბადის დაუფასებელი ნავთიანი ადგილების გულისათვის.» ინგლისმა მიაღწია ამ მიზანს სამხედრო ფრონტებზე, მანვე გაიმარჯვა დიპლომატიურ ფრონტზედაც, სადაც ნავთის საკითხი მთავარ როლს თამაშობდა.

საიდუმლო დიპლომატიურ

ბრძოლის ასპარეზზე

ანტანტის სახელმწიფოთა შორის პირველი საიდუმლო ხელშეკრულება ოტტომანის იმპერიის დანაწილების შესახებ დაიღო 1915 წლის აპრილის 26-ს. მოხსენებული საბუთის თანახმად, გამარჯვების შემდეგ, ოსმალეთი უნდა გაყოფილიყო ამნაირად: — ინგლისს უნდა რგებოდა: — ბალდადი, ბასორა, კაიფა, აკრი; საფრანგეთს უნდა მიეღო: — ადანა, მოსსული, ალექო, დამასკი, ბეირუტი, იერუსალიმი; იტალია მიიღებდა: — ადალიას; რუსეთს მისცემდნენ [რუსეთ—ინგლისის შეთანხმება 1916 წლის თებერვლის 19 ის]: — სომხეთს და ქურთის ჩანს, ერზერუმს, ბითლისს, ტრაპიზონს, სივას, დიარბექირს.

შემდეგ წელს ბრიანმა მოითხოვა ამ საიდუმლო ხელშეკრულების გადაშინჯვა, და 1916 წლის მაისის 16-ს ხელმოწერილ იქმნა ახალი ხელშეკრულება (ეგრეწოდებული საიკს—პიკოს შეთანხმება).

ამ შეთანხმების ძალით ინგლისი მიიღებდა წითელ ზონას: — ქვემო მესოპოტამია, და რუხ ზონას: — პალესტინა; საფრანგეთი მიიღებდა ლურჯ ზონას: — სირია, ლებანონი, კილიკია, მცირე სომხეთი; იტალიას ერგებოდა: — მწვანე ზონა: — ადალია. ამას გარდა, განაწილებული იქმნა გავლენის სფეროებიც: — ზონა ა, საფრანგეთისათვის — დამასკი, ალექო, მოსსული და სხ.; ზონა ბ, ბრიტანეთისათვის — არაბეთი და პალესტინა და სხ. და სხ.

როგორც ხედავთ, საიკს—პიკოს შეთანხმების მიხედვით, ინგლისს უნდა მიეღო ნავთით მდიდარი მესოპოტამია და პალესტინა, მაგრამ მოსსულის ვალაიეტს [უმდიდრესი ნავთიანი ადგილი!] საფრანგეთი ლებულობდა. თითქოს ინგლისურ დიპლომატიას დიდი მარცხი მოუყვდა!

აღნიშნული საკითხის შესახებ ბრიანმა პარლამენტში შემდეგი განაცხადა: —

«თუ ხელშეკრულების მიხედვით მოსსულს მივიღებთ, ეს იქნება ნავთის გულისათვის; ან განა უარი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი წილი ნავთისა ამ ქვეყანაზე ჩვენც გვექნეს?»

მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქო ინგლისმა წააგო ბრძოლა სანავთო ასპარეზზე. სრულიადაც არა!

ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღესვე, სერ ედუარდ გრეი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი, სწერდა საფრანგეთის ელჩს პოლ კამბონს: რომ მოსსულის ზონაში ყველა არსებული კონცესია და სანავთი-გაციო უფლებანი ძალაში უნდა დარჩენო. კამბონს ამაზე უარის თქმა არ შეეძლო და დასტურით უპასუხა.

ამგვარად: მოსსული უნდა დარჩენილიყო საფრანგეთის ხელში, და მოსსულის ნავთის ექსპლოატაცია კი რჩებოდა არსებითად ინგლისურ სანავთო კომპანიის «ტურკიშ-პეტროლიუმში» ხელში!

საფრანგეთმა მალე იცნო თავისი შეცდომა და ესლა კლემანსომ მოითხოვა ამ შეთანხმების გადაშინჯვა. ამის შემდეგ დადებულ იქმნა ახალი ხელშეკრულება [ბერანჟე—ლონგი]. ამის მიხედვით, მოსსული გადავიდა ინგლისის ხელში, საფრანგეთმა კი მიიღო «ტურკიშ პეტროლიუმში»-ს მეოთხედი აქციები, რომელიც უწინ გერმანიას ეკუთვნოდა. ეს შეთანხმება ინგლისმა მიიღო 1919 წლის აპრილის 8-ს, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ უარპყო, ვინაიდან ინგლისი ესლა საფრანგეთის უფლებას სირიაზე აღარა სცნობდა.

ოსმალეთის დანაწილებისა და ნავთის მოპოვების გარშემო ატეხილი დავა და კონსობა კვლავ გაგრძელდა და ამას შემდეგ დადებული იქნა კიდევ ახალი ხელშეკრულება [ბარტელო—გრიინგუდის]; საფრანგეთი აღიარებდა ინგლისის უფლებას პალესტინაზე და მოსსულზე, თუ იგი მას დაუთმობდა უფლებას სირიაზე. ყველა საკითხი, სირიის გარდა, მგვარებულ იქმნა, მაგრამ კლემანსომ არ დაამტკიცა იგი. და სწორედ ამ დროს მოხდა უცნაური ამბავი: — დაჩასკ-ალეპოს ემირი ფეისალი თავს დაესხა სირიაში მდგარ ფრანგულ ჯარებს და დაახევია მათ; — ეს იყო ინგლისური დიპლომატიის შედეგი (იხ. ფრ. დელეზი: «ლე პეტროლ» პარიზი, 1920 წ.). დაეცა ამავ დროს კლემანსოს კაბიეტი და პრეზიდენტი, ტმა მილიერანმა ხელი მოაწერა ბარტელო—გრიინგუდის შეთანხმებას-მაგრამ ესლა ლლოიდ ჯორჯმა არ მიიღო ეს შეთანხმება და ეს ორობ-ტრიალი კიდევ გაგრძელდა, სანამ დაბოლოს ყველა სადავო საკითხი მგვარებულ არ იქმნა სან-რემოს კონფერენციაზე, სადაც სპეციალურ სანავთო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1920 წ. მაისში. (*).

მოკლედ აღწუსხე ნავთის მნიშვნელობა და როლი, რომელიც ნავთს მიენიჭა მსოფლიო ომში, როგორც პოლიტიკისა და დიპლომატიის, ისე განსაკუთრებით სამხედრო ფორტზე.

ასეთი მნიშვნელობის მიღების შემდეგ, ნავთის გარშემო შეიქმნა საერთო მსოფლიო ბრძოლა: — დაეტაკენ ერთმანეთს უდიდესი საერთაშორისო და ეროვნული სანავთო ორგანიზაციები, რომელთაც ზურგს უმაგრებენ თავისი მთავრობანი. თვით სახელმწიფონი აწარმოებენ სანავა

(*) ამ საკითხის შესახებ იხილეთ ჩემი წერილი: «პეტროლიუმპოლიტიკ დერ ველტ უნდ დას შიკზალ კავკაზიენს», «გეო-პოლიტიკ», I და II წიგნი, ბერლინი, 1926 წ.

თო ფინანსიურ და დიპლომატიურ ბრძოლას, საგარეო პოლიტიკას ნავ-
თისათვის... დღესაც გრძელდება ეს მძაფრი და რთული ბრძოლა.(*)

ყველა ეს საკითხი, რომელიც ომის შემდეგ მკვეთრად წამოიჭრა
საერთაშორისო დამოკიდებულებათა ასპარეზზე, როგორც არიან ინგ-
ლის—ამერიკის დამოკიდებულებანი ნაცის გარშემო, რასაც ამ ათი
წლის წინად მეტად გამწვავებული ხასიათი ჰქონდა; ევროპის სახელმწი-
ფოთა, იაპონიისა და ამერიკის დამოკიდებულებანი რუსეთთან, რომე-
ლიც ჰფლობს დღეს კავკასიის უდიდეს სანავთო განძს; დამოკიდებულე-
ბანი პოლონეთთან და რუმინეთთან, სპარსეთთან და ირაკთან; და განსა-
კუთრებით მწარე ბრძოლა სამხრეთ ამერიკის ნავთიან სახელმწიფოებში
ეკონომიურ ფინანსიურ ბატონობისათვის, რაც იქაურ ხშირ რევოლუცი-
ათა უმთავრესი წარმომშობი მიზეზია; და ნავთის როლი გენოას, ჰააგას,
ლონდონის და პარიზის კონფერენციასზე, სან-რემოს ანტანტის კონფერენ-
ციასზე, ვაშინგტონის განიარაღების კონფერენციასზე; და სწვა მრავალი
დიპლომატიური და პოლიტიკურ--ფინანსიური ნაბიჯები, მიმართული
ნაცთან ქვეყნებზე საბატონოდ და საკონტროლოდ, — გუშინდელი და
დღევანდელი თავგადასავალია ნავთიანი და უნავთო ქვეყნებისა, მაგრამ
მას აქ აღარ შევეხები, ვინაიდან უკვე მოთავსებული წერილებით, შეძლე-
ბისდაგვარად, არსებითად ამოწურულია მოფარგლული საკითხი ნავთის
მნიშვნელობისა და ნავთის გულისათვის ბრძოლის შესახებ მსოფლიო
ომის დროს.

ბ . ვ ა რ დ ა ნ ი

(*) იხილეთ ჩემი წერილი: «პეტროლუმპოვლლე მექსიკო», დერ
შუენემან მონატ, იენისი, 1927 წ.

ს ა მ ხ ე ლ რ ო ბ ი უ ჯ ე ბ ი

სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობა არის მტრისაგან თავდაცვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმწიფოს დიდ სიმდიდრეს შთანთქავს. თავდაცვის ნიადაგზეა მოწყობილი სახელმწიფოს მთელი აპარატი. ამ თავდაცვამ გამოიწვია სხვა და სხვა თემების გაერთიანება; ვერც ერთი სახელმწიფო ვერ აიღებს ხელს თავდაცვაზე, თუ უნდა დამოუკიდებლად იარსებოს და არ სურს თავისი ერის ეკონომიური და პოლიტიკური მონობა. ხალხის პოლიტიკური განვითარებითა და ტენიკის აგრესორად წინსვლისა გამო თავდაცვის ძველებური სისტემა შეიცვალა. საჭირო შეიქმნა მუდმივი ჯარის დაარსება, რის შენახვაც დიდძალ თანხას მოითხოვს. უცხო ხალხთა დაპყრობა-დამონაგების პოლიტიკამ შექმნა ტენდენცია, რაც შეიძლება მეტი ჯარი იყოლიონ იარაღში, რამაც გამოიწვია ქიშპობა სახელმწიფოთა შორის და წარმოუდგენელი ზრდა სამხედრო ხარჯებისა და შემოღება ახალ-ახალი გადასახადებისა.

სამხედრო გასავალი, თანამედროვე სახელმწიფოებში, შეადგენს უმთავრეს სახელმწიფო გასავალს. სამხედრო გასავალის ზრდა საგრძობლად შესამჩნევი ხდება მეცხრამეტე საუკუნედან. მართალია, ომებს ხალხთა და სახელმწიფოების არსებობიდანვე აწარმოებდნენ, მაგრამ ეს-ლანდელი ომის გასაწალი რომ შევადაროთ წინა საუკუნოებისას, განსაცვიფრებელ განსხვავებას წარმოადგენს. ეს იმით აიხსნება, რომ ომის გასავალი მართლ სახელმწიფოს არ ატყდებოდა თავზე, არამედ უმეტეს ნაწილად საზოგადოების ერთ ნაწილს, რომელიც შეადგენდა სამხედრო კასტას, სახელმწიფოს დასაცავად მოწვეულს, და ამიტომაც სამხედრო გასავალის უმეტესი ნაწილი ბიუჯეტში არ იყო მოქცეული. ამდგვარი სისტემა თითქმის უკანასკნელ საუკუნოებამდე არსებობდა. მაგალითად: საფრანგეთის ეპისკოპოზი რიშელიე ასე ახასიათებს მოქალაქეთა მოვალეობას: — სასულიერო წოდება ემსახურება სახელმწიფოს ლოცვებით, თავადაზნაურობა სისხლით და პლებსი [ე. ი. დაბალი კლასი] კი გადასახადებით.

ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, თვით სახელმწიფოებრივ განვითარებას ძლიერ აბრკოლებდა. საკვირველი არ არის, რომ ამდგვარი სისტემის წყალობით თვით სამხედრო ბიუჯეტი დიდი არ იყო.

ცვლილებები ხდება საშუალო საუკუნოების ბოლო ხანებში სხვა და სხვა მიზეზების გამო, იტალიაში შემოღებულ იქნა დაქირავებული ჯარი, კონდოტიერები; დროთა ვითარების გამო, დაქირავებული ჯაჯის სისტემა იქმნა შემოღებული სხვა და სხვა სახელმწიფოებშიდაც, როგორც მაგალითად: კროატებისა, გერმანელებისა, შვეიცარიელებისა და სხვა.

თვით დაქირავებული ჯარის შენახვა მოითხოვდა დიდ გასავალს, რომელიც უნდა ყოფილიყო დაფარული სესხებით ან გადასახადებით.

დროთა განმავლობაში ომები უფრო და უფრო ხდებოდნენ კაპიტალისტური. თოფის წამლის გამოგონებით სამხედრო მასალეს ეძლევათ უფრო მეტი მნიშვნელობა. ომები მოითხოვენ უფრო მეტ ჯარს და თანხას მის შესანახავად. ომების წარმოება ხდება თანდათან ძვირი და სახელმწიფო იძულებული შეიქმნა თავის თავზე ეკისრა ამ თანხების გამოწახვა. ამის გამო გადასახადი იზრდება, ომის მთელი სიმძიმე გადადის მასსახედ და ამასთანავე იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტი.

საფრანგეთის რევოლუციამ შეიტანა სამხედრო სამსახურში დიდი ცვლილება; მანამდე მხოლოდ და მხოლოდ ერთი პრივილეგიური კლასის ხელში იყო ჯარის მოწყობა და ომების წარმოება. საფრანგეთის რევოლუციამ მოახდინა ამ დარკშიდაც დიდი გადატრიალება. ყველა ვალდებული შეიქმნა სახელმწიფოს დაცვაში მონაწილეობა მიეღო. ხდება საზოგადოების დემოკრატიზაცია, დამყარებული იმ პრინციპზე, რომ ყველა ერთი და იგივე უფლებით არის აღჭურვილი. თანასწორობის პრინციპი თანდათან ტარდება ყველა კულტურულ სახელმწიფოში და სამხედრო სამსახური შეიქმნა სახალხო და არა ერთი რომელიმე კასტისა როგორც ამას ჰქონდა ადგილი წინად.

ვითარდება ტენდენცია. ომს აწარმოებს ესლა არა ერთი რომელიმე კლასი სახელმწიფოსი, არამედ მთელი ხალხი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, სამხედრო გასავალი სწრაფი ტემპით იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ ომები ძლიერ იშვიათია. სწარმოებს ერთდამივე დროს პოლიტიკა მშვიდობიანობისა და საყოველთაო შეუჩერებელი შეიარაღებისა.

შეიძლება ამ ხანას დაერქვას ერა შეიარაღებული მშვიდობიანობისა. გერმანია სისტემატიურად აწარმოებს შეიარაღებას და ხალხის ამ ნიადაგზე მომზადებას; ინგლისი, თუმცა არა სწამს, რომ ახლო მომავალში რაიმე ომი იქნება, მაგრამ ძლიერ სერიოზულად იწყებს თავისი საზღვაო ძალების მომზადებას და ახალახალი საზღვაო ერთეულების შექმნას; საფრანგეთში, ბოლო ხანებში, გაიმარჯვა პაციფიზმმა და ამიტომაც

ჩაერთა მსოფლიო ომში მოუმზადებელი, რამაც გამოიწვია ომის გაგრძელება. ომის წინა ხანებში არავინ მოელოდა, რომ ომიანობა ასე ხანგრძლივი გამოდგებოდა; პირიქით, ლაპარაკობდნენ, რომ მომავალი ომი დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა, თუმცა ეკონომისტები კი იყვნენ იმ შეხედულებისა, რომ თუ მომავალმა ომმა იფეთქა, აგრე ადვილად და სწრაფად არ გათავდებაო, წინააღმდეგ სამხედრო უწყებებისა და საზოგადოებრივ აზრისა. მხოლოდ ერთში მოსტყუვდნენ: სრულებით არ იყო წინაშეწარ ნანგარიშევი, რომ მსოფლიო ომი გამოიწვევდა ასეთ ხარჯებს; მიზნები აუარებელ გასავალისა იყო შემდეგი: თანამედროვე ომი ძლიერ სწრაფი ტემპით ნთქავს ყოველივე სამხედრო მასალას, რომელიც ძლიერ სიჩქარით დამუშავებულია ომიანობის დროს და ასეთივე სიჩქარით თანამედროვე ტექნიკის მიერ შთანქმული. წინად სამხედრო მასალა მზადდებოდა მშვიდობიანობის ხანებში, დღეს წარმოებული ომი კი, მოკლე ხანში ხარჯავს მთელ იმ მასალას, რაც იქნა მშვიდობიანობის დროს დამზადებული და დაგროვილი, ამიტომ ხდება მუდმივი ანახლავურება დახარჯულ მასალებისა, რაც შეიძლება მეტი სისწრაფით.

ტექნიკის განვითარებამ გამოიწვია სამხედრო ტექნიკის სწრაფი წინმსვლელობა და ახალ-ახალი სამხედრო საშუალებების შექმნა. ომის დროს მთელი წარმოება შეეთანხნება სამხედრო მოთხოვნილებებს, რის გამო მთელი სახელმწიფო წარმოადგენს ერთ სამხედრო ბანაკს. სახელმწიფონი ვალდებული შეიქმნენ უზრუნველყოთ, მობილიზაციის ძალით გაწვეული, მხედართ ოჯახები. ომიანობის დროს გასავალი თანდათან მატულობს, ცხოვრება ძვირდება, სამხედრო უწყებისათვის საჭირო მასალების ფასები თანდათან იზრდებიან. ამას გარდა, სამხედრო ხარჯის ზრდას ხელს უწყობს თვით სახელმწიფო მეურნეობის დაბალ დონეზე ყოფნა, უყაირათობა და უკონტროლობა, რომლის გაწვევა ძლიერ ძნელია ომის წარმოების დროს.

დიდი ომის მაგალითმა ვითომც ცოტათი გასწმინდა ომიანობის ატმოსფერო.

28 ივანობის 1919 წ. ვერსალის ტრაქტატმა შექმნა ხალხთა ლიგა, რომელსაც დიდი როლი უნდა ეთამაშნა ხალხთა მორიგებაში და ყოველი საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაში; მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობა მაინც არა სჩანს მტკიცე.

სურვილი რევანშისა არ ასვენებს გერმანიას.

ამასთანავე ახალი საშიშროება მოუმზადა ევროპას რუსეთის დიდმა რევოლუციამ და აუარებელი კონფერენციების მიუხედავად, არ იქმნა ევროპაში მშვიდობიანობის დამყარება და ვერ გაანთავისუფლა თანამედროვე თაობა მომავალში ომის საშიშროებისაგან.

ტექნიკური წინსვლა და ამ ომში გამოცდილება (ავიაცია, გაზი, ტანკი და სხვა და სხვა სამხედრო ტექნიკის განვითარება) აიძულებს სახელმწიფოს, რომელსაც სურს დამოუკიდებელი და თავის საზღვრებში არსებობა, ახალ-ახალი თანხა გაიღოს ციხეების, არსენალების და სხვა და სხვა შენობების ასაგებად. ამას გარდა, საჭიროება მოითხოვს, რაც შეიძლება მეტი სისწრაფით ჩატარდეს მობილიზაცია და ომის პირველი ხანების დასაკმაყოფილებლად, სათადარიგო ხელუხლებელი თანხა იქონიონ.

უნდა ითქვას, რომ ჯარის შენახვა ძლიერ ძვირად უჯდება სახელმწიფოს; ამას დავუმატოთ ის წარალი, რომელსაც სახელმწიფო განიცდის იმით, რომ საუკეთესო და ჯანმთელი ნაწილი ხალხი იარაღში იმყოფება და ყოველივე მუშაობას მოწყვეტილია. რასაკვირველია, ამის მიუხედავად, ყოველი სახელმწიფო ვალდებულია თავდაცვის საკითხი პირველ რიგში დააყენოს და ამ საქმისათვის მის მიერ უნდა იქმნეს ყოველი საჭირო თანხა წინასწარ გაღებული და სახელმწიფო ბიუჯეტში მოთავსებული.

როგორც უკვე მოხსენებული იყო, მთელი ბიუჯეტი იყოფა ნაწილებად და ერთი ამ ნაწილთაგანი არის სამხედრო ბიუჯეტი.

სამხედრო ბიუჯეტი შეადგენს 25—59 პროცენტს მთელი საერთო ბიუჯეტისას, იმის მიუხედავად, არის ის ფარული თუ ახდელი; ამას ვამბობთ იმისთვის, რომ ბევრ სახელმწიფოში სამხედრო ბიუჯეტი არის მიძღვნიებული სხვა და სხვა სამინისტროში, რათა რაც შეიძლება შემცირებული და ცოტა სჩანდეს.

რამდენად ახალგაზდაა სახელმწიფო, იმდენად მეტი ჯდება ჯარის შენახვა, ვინაიდან ახალ სახელმწიფოს ჰყავს ახალი ჯარი, რომლის შემოსევა-გამოწყობა და შეიარაღება ჯერ არ არის ნორმალურ დონეზე დაყენებული.

1924 წ. პოლონეთის ჯარის შენახვა ჯდებოდა 41—42 პროცენტი საერთო ბიუჯეტისა, მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი 1918 წლიდან არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

სხვა და სხვა სახელმწიფოს სამხედრო ბიუჯეტის შედარების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, თუ რა რიგზე არის თვით ბიუჯეტი დალაგებული.

ბევრ სახელმწიფოში თვით სამხედრო ბიუჯეტის დიდი ნაწილი არის განწილებული სხვა და სხვა სამინისტროს მონათესავე დარგებში, როგორც მაგალითად, აღმშენებლობა, რომელიც ბევრ სახელმწიფოში მოთავსებულია სახალხო სააღმშენებლო ბიუჯეტის თანხაში, ერთი სიტ-

ყვით, სამხედრო საერთო ბიუჯეტთან შედარებით შეიძლება იყოს ხელოვნურად გაზვიადებული, გინდ ძლიერ შემცირებული.

გერმანიის 1925 წლის საერთო ბიუჯეტის პრელიმინაჟი შეადგენდა შვიდ მილიარდ (7 437 000 000) პოლონურ ზლოტას, რომლიდანაც 100 000 ჯარისკაცისათვის (ვერსალის ხელშეკრულობის ძალით მეტი ჯარის ნება არ აქვთ) სამხედრო ბიუჯეტის პრელიმინაჟი შეადგენდა 701. 250. 000 პოლ. ზლოტს, მაგრამ ნამდვილი ბიუჯეტი რომ წარმოიდგინო, ამას უნდა დაუმატო ავიაცია, საზღვაო ფრენოსნობა, სამხედრო ინდუსტრია, სხვა და სხვა სასპორტო და სატანთვარჯიშო კავშირთა სუბვენციები, ე. ი. სხვა და სხვა მოქალაქობრივი-სამხედრო ორგანიზაციები.

საბჭოთა რუსეთის 1925 წლის საერთო ბიუჯეტის პრელიმინაჟი იყო 1 880 000 000 მან. ესეიგი 5 მილიარდი პოლ. ზლოტი, რომლიდანაც სამხედრო ბიუჯეტის პრელიმინაჟზე მოდიოდა 756 000 000 პოლ. ზლ მაშინ როდესაც სამხედრო წარმოება, გასავალი სპეციალურ დანიშნულების სამხედრო ძალების, ავიაცია, თავდაცვა გაზის წინააღმდეგ და სხ. ბევრი სამხედრო საჭიროებანი იყვენ მოძღვანიებულნი სხვა და სხვა რესორტებში და სულ ეს ფარული თანხები მხედველობაში რა მივიღოთ, სამხედრო ბიუჯეტი ორ მილიარდს გადააცილებდა.

სამხედრო ბიუჯეტის აღნუსხვის დროს, სამხედრო უწყების ყოველი განკარგულება უნდა იქმნეს მჭიდროთ დაკავშირებული ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემულ სხვა და სხვა განკარგულებასთან.

ბიუჯეტური შემოსავალი, გახსნა კრედიტისა, მისი გადატანა, დახურვა, მიღება და ამასთანავე აკრეფალი ფულის შენახვა, ყველაფერს ამას აწარმოებს სამხედრო უწყება ფინანსთა სამინისტროს საშუალებით, რომლის განკარგულებაში იმყოფებიან ხაზინები და აგრეთვე საჭიროების მიხედვით შეუძლია ყოველივე ფულის ოპერაციების მოხდენა ყველა კერძო საღაროების საშუალებით.

სამხედრო სამინისტროს სათავეში სდგას თვით სამხედრო მინისტრი, რომელიც შედის თვით მთავრობაში როგორც წევრი და პასუხის მგებელია სეიმის წინაშე. ყოველი ბრძანება თუ განკარგულება, რომელიც სამხედრო მინისტრის მიერ არის გაცემული, უნდა იქმნეს სამხედრო მინისტრის მიერ ხელმოწერილი ან-და იმ პირთვნების მიერ, რომელიც მისგან არის ასეთი უფლებით აღჭურვილი; ყოველივე ეს განკარგულება იმის მიუხედავათ, თუ ვინ აწერს ხელს, არის საკალდებულო, ხოლო პასუხისმგებელი არის სამხედრო მინისტრი.

სამხედრო მინისტრის ძალაუფლება, როგორც მთელ შეიარაღებულ ძალების უფროსისა, არის განსაზღვრული სპეციალური კანონმდებლობით; ჩვენ გვინტერესებს აქ მისი ადმინისტრაციული მხარე.

მის მოვალეობას შეადგენს გათვალისწინება და გამორკვევა იმ აუცილებელ საჭიროებათა და საშუალებათა, რომლის მეოხებით შეუძლია ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მას აქვს ორგანიზაციულად სათანადო მოწყობილი აპარატი, რომლის საშუალებითაც აწარმოებს ამ მუშაობას.

ამ სამუშაო აპარატს შეადგენს: გენერალური შტაბი, დეპარტამენტები, განყოფილებანი საერთო ორგანიზაციული და საერთო ადმინისტრაციული, გენერალური ინსპექტორიატი შეიარაღებული ძალები-სა. რასაკვირველია, ზემოხსენებული დაწესებულებანი დამყარებული არიან თვით სამხედრო ორგანიზაციაზე; ადვილი შესაძლოა, რომელიმე ზემოაღნიშნული დაწესებულება არსებულ სამხედრო ორგანიზაციას არ ჰქონდეს ცალკე აღნიშნული და სხვასთან ერთად შეადგენდეს ან-და რაიმე სხვა შედიოდეს მასში.

სამხედრო ადმინისტრაციის მოვალეობას შეადგენს: შეიარაღებულ ძალთა ყოველივე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მშვიდობიანობის თუ ომის დროს. სამხედრო ადმინისტრაცია ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს იმ თანხით, რომელიც არის მისთვის გაღებული კრედიტის სახით.

ჯარის მოთხოვნილებანი არიან სხვა და სხვა გვარი, და შეიძლება სამ ნაწილად იქნენ გაყოფილი:

1. საარსებო საჭიროებანი (ჯამაგირი, ტანსაცმელი და სხვა).
2. სამხედრო საჭიროებანი (იარაღი, საბარჯო ნაწილი).

3. საჭიროებანი, გამოწვეულნი ჯარის მომზადების გამო (გაწრთვნა, მანევრები...).

ყველა ეს მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს: 1) კრედიტით, 2) დამზადებული მასალით.

ამ მოთხოვნილებათა დასაფარავი უმთავრესი წყარო არის ფული ამისათვის მთელი საადმინისტრაციო მეურნეობა შეიძლება გავყოთ ფულის მეურნეობად და მატერიალურ მეურნეობად. სისტემატიური შედგენა ყოველი მომავალი წლის ყოველივე გასავალ-შემოსავლისა, არის სამხედრო ბიუჯეტის პრელიმინაჟი. ბიუჯეტის დამზადება ეკუთვნის აღმასრულებელ ხელისუფლების კომპეტენციას. სამხედრო სამინისტრო დაამუშავებს თავის საჭირო ბიუჯეტს და წარუდგენს ფინანსთა მინისტრს.

ფინანსთა მინისტრის განკარგულებაშია სახელმწიფო ყველა შემოსავალი, მას ეკუთვნის უფლება ამ შემოსავალის კონტროლისა და განაწილებისა სხვა და სხვა სამინისტროსათვის ცენტრალური წიგნების საშუალებით.

ბიუჯეტის დამუშავება გრძელდება თითქმის მთელი წლის განმავლობაში, თვით საბიუჯეტო სესიების დაწყებამდე. ბიუჯეტის დამუშავების დროს საჭირო არის იხელმძღვანელონ შემდეგით: 1. სამხედრო გეგმის გატარების ცდა, 2. ანგარიშის გაწევა ტექნიკურ შესაძლებლობის სათვის გეგმის შესრულებაში, 3. წესრიგის დადგენა მომავალ ბიუჯეტურ მოთხოვნის შესრულებაში, 4. შექმნა მთლიან რეზერვული მეურნეობისა (შესყიდვა მასაზრდოებელი მასალისა), 5. რაც შეიძლება მალე დონეზე მუშაობის აწევა სამხედრო დაწესებულებებში და ერთსა და იმავე დროს საწარმოო ფასების დაწევა, 6. რაც შეიძლება მეტი მომპირნობა.

როგორც უკვე მოვიხსენიე, სამხედრო ბიუჯეტს, როგორც ყველა ბიუჯეტს, შეადგენს ორი ნაწილი: შემოსავალი და გასავალი. სამხედრო ბიუჯეტის შემოსავალი არ წარმოადგენს დიდ თანხას და უდრის მთელი სამხედრო ბიუჯეტის გასავალის ერთ ან ორ პროცენტს. შემოსავალის უმეტეს ნაწილს შეადგენს სხვა და სხვა ბეებისაგან შემდგარი თანხები, რომელნიც პირობების შეუსრულებლობისა გამო, გადადის სახანო განკარგულებაში, თანხები დაკარგულ ნივთების ანაზღაურებისაგან შემდგარი, ფული გაცემული ტანისამოსის ფასებისაგან, გაყიდულ უვარგის ნივთებისაგან და სხვა წვრილმან შემოსავლისაგან, რომლის გათვალისწინება ძნელია.

როგორც შემოსავალი, ისე გასავალი განიყოფებიან: 1. ჩვეულებრივი და 2. განსაკუთრებული.

ჩვეულებრივი გასავალი არის მუდმივი ჯარის საჭიროების დასაკმაყოფილებლად; დანარჩენ გასავალს ვუწოდებთ განსაკუთრებულს.

ჩვეულებრივი შემოსავალის წინდაწინ ე განსაზღვრა შესაძლოა თუ ადმინისტრაციული აპარატი ნორმალურად მოქმედებს. ჩვეულებრივი გასავალი შესდგება: პერსონალური და მატერიალური (სამუშაოს დამატებით) გასავალისაგან.

პიროვნულ გასავალად ჩათვლებიან ისეთნი, რომელთა დანიშნულებაც არის სახელმწიფოს მოხელეთა ჯამაგირებით დასაკმაყოფილება.

ჯამაგირი დაქირავებულ მუშებისა შეიძლება მატერიალურ გასავალისაგან დასაკმაყოფილდეს. პიროვნული შემადგენლობის გასავალი განსაზღვრულია ეტატიით.

ზემოაღნიშნული საბიუჯეტო თანხების გამორკვევა დაყრდნობილია გენერალური შტაბის მიერ წარდგენილ შემადგენლობის რიცხვზე.

განსაკუთრებული გასავალი შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: —

1. ინვესტიციური და 2. სათადარიგო.

ინვესტიციურ გასავალად ვიგულისხმებთ არამც თუ გასავალს ინვესტიციურს, რომელსაც აქვს შემოსავალი, არამედ იმდაგვარ ინვესტიციურ გასავალსაც, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო ქონებას, როგორც შენობები, მამულების შეყიდვა და სხვა.

სათადარიგო გასავალის პრელიმინაჟი არის აღნუსხული გენერალური შტაბის ცნობების თაჩანმად. ამ დარგის ბიუჯეტი, ვინაიდან საიდუმლოებას წარმოადგენს, აღრიცხულია ცალკე, მაგრამ შედის საერთო სამხედრო ბიუჯეტის პრელიმინაჟში და მასზე არის დართული.

ამგვარად დამზადებული ბიუჯეტი გადაეგზავნება ფინანსთა მინისტრს, რომელიც ყოველმხრივი გამორკვევის შემდეგ, წინადადებას იძლევა შემცირების ან რაიმე ცვლილების შეტანის შესახებ, თუ კი ეს მისი თვალსაზრისით საჭიროებას წარმოადგენს. ამ ცვლილებების შემდეგ, ბიუჯეტი ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილი არის მთავრობის თათბირზე, რომელზედაც ბიუჯეტი ხელმეორედ მსჯელობის საგნად ხდება, ესლა კი მთავრობის საერთო პოლიტიკის მიხედვით.

როგორც საერთო ბიუჯეტში, აგრეთვე სამხედროში, შესაძლებელია დამატებითი ან კიდევ განსაკუთრებითი ბიუჯეტი. ამ შემთხვევაში სამხედრო მინისტრი, ფინანსთა მინისტრის შუამდგომლობით, წარუდგენს სეიმს დამატებითი ან განსაკუთრებითი ბიუჯეტს, ყოველი განმარტებით, და ითხოვს მის დამტკიცებას.

ამას გარდა შესაძლოა თვით სამხედრო ბიუჯეტის ფარგლებში საჭირო შეიქმნეს ერთ რომელიმე განყოფილებაში ან პარაგრაფში მოთავსებული თანხების მეორეზე გადატანა [ამას ეძახიან ვირმან-ს]. ამ შემთხვევაშიაც საჭიროა სეიმის თანხმობა, თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოში ფინანსთა მინისტრს კანონმდებლობით უფლება ეძლევა, ფინანსიური კრიზისის დროს, თვითონ მოაგვაროს ამგვარი საკითხები.

ადმინისტრატიულ-საბიუჯეტო სამხედრო ხელისუფლება განიყოფება ორ კატეგორიად:

1. ხელისუფლება და ორგანოები, რომელნიც განაგებენ თანხებს
2. ამ თანხათა გამლები ორგანოები.

ამგვარი განაწილება მჭიდროთ დაკავშირებულია თვით ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციის აპარატთან. სამხედრო ბიუჯეტის თანხების განაწილება ეკუთვნის მხოლოდ სამხედრო მინისტრს და მისი თანხმობით სამხედრო მინისტრის მოადგილეს, რომელიც განაგებსა და ხელმძღვანელობს მთელ ფინანსიურ მეურნეობას, გამოსცემს სხვა და სხ. წესდებებს და ინსტრუქციებს, რომელთა საშუალებით აწესრიგებს ყოველ ფინანსიურ საკითხს, ამტკიცებს ბიუჯეტის განხორციელების გეგმას-

ახდენს კოორდინაციას ყოველივე ბიუჯეტურ მოთხოვნილებებისა სხვა და სხვა დარგში, ღებულობს ყოველგვარ ჩომას, რათა ბიუჯეტი იქმნეს სისრულეში მოყვანილი და სხვა.

სამხედრო მინისტრის ნებართვით ცალ-ცალკე თანხებს განაგებენ უფროსები თვით იმ დარგებისა, რომელთათვის ეს საბიუჯეტო კრედიტია აღრიცხული. მათ მოვალეობას შეადგენს: 1. დამუშავება და წარდგენა სამხედრო მინისტრისათვის ბიუჯეტის პრელიმინარიის პროექტისა. 2. დამუშავება და წარდგენა ბიუჯეტის განხორციელების გეგმისა და აგრეთვე ბრძანებებისა ჯარის უზრუნველსაყოფად 3. გამღებ ორგანოებისათვის ბიუჯეტის კრედიტის გახსნა თანახმად ბიუჯეტის სისრულეში მოსაყვან გეგმისა და ბრძანებათა, მომარაგების შესახებ.

თვით სამხედრო კრედიტებს განიღებს ფინანსთა მინისტრი, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ წიგნების ს. შუალებით, მთელი საბიუჯეტო ხანისათვის ან-და ნაწილობით, ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით.

ამდაგვარად, სამხედრო მინისტრისათვის გადმოცემული თანხა ამ უკანასკნელის მიერ გადაეცემა იმ ორგანოებს, რომელნიც განაგებენ საბიუჯეტო კრედიტებს. ეს ორგანოები კი გადასცემენ ამ თანხებს გამ, ღებ ორგანოებს, მთელი ბიუჯეტის ხანის განმავლობაში, ან-და ნაწილობით. იმ სახელმწიფოებში, რომელშიდაც ფინანსიურ-ეკონომიური მეურნეობა კრიზისს განიცდის, ფინანსთა მინისტრი ნაწილობით იძლევა თანხებს [ტანგენტები]. ტანგენტა შესაძლოა თვითური, კვარტალით, ნახევარი წლით. ამ შემთხვევაში სამხედრო მინისტრიც კონტანგენტებით განიღებს კრედიტებს.

თვით ბიუჯეტის სწორი და დანამდვილებითი შესრულებისათვის საჭიროა დაწვრილებითი გეგმა იქმნეს შედგენილი. ამ გეგმის მიზანი არის: —

1. დაწვრილებითი კოორდინაცია მოთხოვნილებებისა
2. არის სახსრის, წარმოების საფუძვლად
3. თვალყურის დევნა ბიუჯეტის რეალიზაციისა.

თვით ბიუჯეტის განსახორციელებელი გეგმა დამყარებულია: —

1. მატერიალურ მოთხოვნილებათა აღწერასხეზე,
2. ფულის გადასაზღველ ტერმინებიდან [ვადებიდან], რომელნიც სხვა და სხვა პირობაზე და ხელშეკრულებაზეა დამყარებული.
3. თანხებზე, რომელნიც ბიუჯეტის ძალით არიან ნებადართული
4. ტერმინები და რაოდენობაზე გასაღებ თანხისა,
5. მეურნეობის გათვალისწინებაზე,

6. მოთხოვნილებათა დაჯგუფებაზე, მათი სისწრაფისა და საჭიროების თანახმად.

ამ გეგმის ყოველგვარი ცვლილება არის დაშვებული მხოლოდ სამხედრო მინისტრის ან მისი მოადგილის თანხმობით.

საასიგნაციო ორგანოები ამ გეგმის საშუალებით ადგენენ მოთხოვნილებებს კრედიტისას და გადაუზღავნიან სათანადო დარგის გამგე ორგანოს.

თანხების განმანაწილებელ ორგანოების მოვალეობას შეადგენენ:

1. საჭიროებათა რეალიზაციის რიგის გამორკვევა, მისი სისწრაფისა და მოთხოვნილების მიხედვით.

2. გახსნა ამ კრედიტებისა ფინანსთა მინისტრის საშუალებით.

3. კრედიტების ერთი ტიტულიდან მეორეზე გადატანის შუამდგომლობა.

თვით სქემა სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტისა შესაძლოა სხვა დასხვა საფუძველზე იყოს აგებული. საჭიროა, ცარშიძლეობა დაწვრილებით იქმნეს აღრიცხული ან და საერთო თანხები იქმნეს ბიუჯეტში მოძღვანებული, ან კიდევ იარაღით და დარგებით იქმნეს გამორკვეული, ან და შემოსავალ-გასავალით, იარაღისა და დარგის მიუხედავად.

ბ — ნ ა ქ — ძ ე

ა მ ე რ ი კ ე ლ თ ა ჯ ა რ ი დ ი დ ო მ შ ი

ერთ-ერთ ფრანგულ ჟურნალში მოთავსებული იყო ომის დროს ყოფილი სამხედრო მინისტრის პოლ პენლევეს წერილი სათაურით: «ამერიკელთა ჯარი დიდ ომში».

პენლევეს მიზანია ამ წერილით შეიტანოს ერთგვარი შესწორება მარშალ ფოშისა და ჟორჟ კლემანსოს მიერ გამოთქმულ აზრებში ამერიკული ჯარის შესახებ.

ეს წერილი ეხება ამერიკის ჯარის ომში ჩაბმის საკითხს და რადგანაც ავტორი ნათელპყფის ამერიკელთა როლს დიდ ომში, ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ მნიშვნელოვანი საკითხის გაცნობა საერთო ხაზებში მაინც.



1917 წლის აპრილის 5-ს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში

ტებმა გერმანეთს ომი გამოუცხადეს.

მეორე დღესვე პოლ პენლევემ (საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა) თავის მთავრობას დაუხსაბუთა გენ. ჟოფრისა და ვივიანის (იუსტიციის მინისტრი) ამერიკაში გაგზავნის აუცილებლობა. ამ მისიის გაგზავნის აზრი დაიბადა შემდეგი მიზეზის გამო: —

იმავე წლის მარტის დამლევს პენლევეს აცნობეს, რომ პარიზში ინკოგნიტოდ გაივლის ჰუვერი (ესლანდელი შ. შტატების პრეზიდენტი), რომელიც შეერთებული შტატების დავალებით, სამი წლის განმავლობაში აწვდიდა სურსათს დარბეული ბელგიისა და ჩრდილოეთ საფრანგეთის მცხოვრებთ.

პენლევესთან კერძო ბაასში ჰუვერმა გამოსთქვა აზრი ამერიკის ომში ჩარევის აუცილებლობაზე. მხოლოდ საჭირო იყო ამოძრავება მთელი კონტინენტის — ატლანტიკიდან პასიფიკამდე — განსაკუთრებით აგრიკოლური ნაწილის — მილ უესტის, სადაც გერმანელების გავლენა საგრძნობი იყო. ამისთვის ამერიკაში უნდა გაგზავნილიყო სამხედრო და სამოქალაქო წრეების პოპულიარული პირებისაგან შემდგარი ფრანგული მისია. სწორედ ეს იყო ჟოფრისა და ვივიანის გაგზავნის მიზეზი. ამ მისიის მუშაობის შედეგებმა აშკარადჰყო, რამდენად მართალი იყო ჰუვერი.

აპრილის შვიდს პენლევემ აცნობა ამერიკის ელჩს, რომ ფრანგულ სამხედრო ესკადრამ — «ლაფაიეტ» — მიიღო ბრძანება: ფრანგულ დროშასთან ერთად აეფრიალებინა ამერიკულიც. ეს იყო დაკავშირების სიმბოლიური ნიშანი და ისმოდა კითხვა, თუ როგორი სამხედრო უახმარების გაწევას შესძლებდა ახალი მოკავშირე!

გერმანელები ამ დახმარებას უმნიშვნელოდ სთვლიდნენ. განა საჭირო არ გახდა კიტჩენერის არმიისთვის დიდი ხნის მზადება, სანამ პირველად მონაწილეობას მიიღებდა სომასთან ბრძოლაში? ეს მაშინ, როდესაც დიდ ბრიტანეთს ყოველთვის ჰქონდა სამხედრო ტრადიცია, ჰყავდა კადრები და სხვა.

და რამდენი ხანი დასჭირდება ამერიკას ჯარის შესაკრებად, გაწრთენისათვის, კადრის შესაქმნელად? და როგორ უნდა მოეწყოს ამ ჯარისა და მთელი სამხედრო მასალის გადაყვან-გადაღწევა ატლანტიურ ოკეანით საფრანგეთამდე? იქნება ომი კიდევ დამთავრდეს, სანამ ყოველივე ეს მოეწყობა!

ცხადია, ამერიკის აუწყრელი რესურსები ემატებოდა მოკავშირეებისას, მაგრამ ეს ამერიკის მიერ ომის გამოცხადებამდეც ვერც იყო.

ყოველივე ამით აიხსნება, რომ გერმანეთზე ამერიკის ომის გამოცხადებამ არ მოახდინა მოულოდნელი შთაბეჭდილება. ეს სკეპტიკური შეხედულება ამერიკის რეალურ დახმარებაზე არა თუ მართლ გერმანეთში არსებობდა. ამავე აზრს გამოსთქვამდნენ საფრანგეთშიც, ინგლისშიც და თვით ამერიკაშიც...

საფრანგეთის მთავრობამ დანიშნა ამერიკაში უმაღლეს კომისრად ტარდო (ეხლანდელი საფრანგეთის პრემიერი), რათა მას განეხორციელებია, რაც კი შესაძლებელი იყო.

ამავე დროს პენლევემ, როგორც სამხედრო მინისტრმა, მისცა ბრძანება საფრანგეთის გენერალურ შტაბს ამერიკულ ჯარის თანამშრომლობის საკითხის დასამუშავებლად. საზღვაო მინისტრი, ადმირალი ლაკაზი კი ამუშავებდა ამ ჯარის გადმოყვანის გეგმას.

მაისის 4-ს მოკავშირეთა პირველ კრებაზე, რომელსაც არ დასწრებია ამერიკის წარმომადგენელი, პენლევემ გამოსთქვა აზრი ამერიკიდან ერთი მილიონი ჯარის გადმოყვანის შესაძლებლობის შესახებ. ამ კრების ანგარიშები ნათელჰყოფს, რამდენად დაუჯერებელ ამბავად და უტოპიად მიიღეს მაშინ ეს აზრი. ხუთასი ათასიანი ჯარის გადმოყვანაც კი, აუცილებელი სამხედრო მასალითურთ, შეუძლებლად მიაჩნდათ მათ — წყალქვეშა ნავების შიშით. იმ საღამოს პარიზში ჩამოსულმა ადმირალ სიმს-მა დაადასტურა პენლევეს განცხადება და მიიღო ფრანგული საზღვაო შტაბის მიერ შემუშავებული გადმოყვანის (ტრანსპორტის) გეგმა.

ვაშინგტონის მთავრობამ მიიღო დადგენილებანი შეუძლებლობის გაუთვალისწინებლად, მტკიცე გადაწყვეტილებებით. და მართლაც, ამან მოიტანა გრანდიოზული შედეგები.

მეორე მხრივ, პარიზში გენ. ფოში, რომელიც იმ დროს გახდა გენერალური შტაბის უფროსად, არ იყო ისეთი პიროვნება, უკან რომ იხვეს გაბედული აზრების წინ.

ასეთი იყო ვითარება, როცა ივნისის 13-ს, ომის გამოცხადების ორი თვის შემდეგ, ამერიკის ჯარის უფროსი ჩამოვიდა პარიზში. ეს ამტკიცებდა, რამდენად გადაწყვეტილი ჰქონდა ამერიკას ომში ჩარევა მთელი თავისი ძალებით.

დაუვიწყარია გენ. პერშინგის პარიზში შეხვედრის სურათი! როგორც კი ცნობილ იქნა ჩამოსვლის საათი, სკოლებში შეწყვიტეს მეცადინეობა. ჩრდილოეთის სადგურიდან კონკორდის მოედნამდე გამწყვრივდნენ პარიზის მცხოვრებნი — ქალები ძაძვებში, მოხუცნი, ბავშვები; ვაჟკაცები სხვაგან იყვნენ — მოვალეობის ადგილზე! ყვავილები, ცრემლები, ვაშას ძახილი!

პერშინგის სახით პარიზი სალამს უძღვნიდა ამერიკულ ჯარს. ეს ხომ არ იყო საჩვენებელი შეხვედრა; სალამმა იგრძნო, რომ იწყებოდა ომის ახალი ფაზა. მწარე გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ფრანგულ-ინგლისურ ჯარს არ შეეძლო გერმანელების ფრონტის გარღვევა, მიუხედავად მტერთან მძაფრი შეტაკებებისა თუ არ იქნა განახლებული და გაძლიერებული შეიარაღება, რაც მოითხოვდა ერთი წლის ვადას მაინც. მაგრამ თანდათან თავს იჩენდა შიში იმისა, თუ რამდენ ხანს გაუძლებდა კიდევ მტერს რუსების ფრონტი.

ამერიკის სრული სამხედრო თანამშრომლობა ბადებდა მტრის დამარცხების რწმენას, როგორც არ უნდა ყოფილიყო ცვალებადობა და რუსეთის არეულობის მსვლელობა. სამხრეთის შერყეულ ბათალიონებს აანაზღაურებდნენ ამერიკული ლეგიონერები დასავლეთის ფრონტზე.

მაშასადამე, ამერიკა საბოლოოდ ჩაება ომში. და ესლა კი, ამ რეალურმა ჩარევამ გერმანეთზე მოახდინა საშინელი შთაბეჭდილება: — ომი წაგებულად უნდა ჩათვლილიყო, თუ კი ცენტრალური იმპერიები ხელს არ შეუშლიდნენ 1918 წელში ამერიკული ჯარის გადმოყვანას.

იენისის 14-ს პერშინგი მივიდა სამხედრო სამინისტროში. პენლევესი და მისი დიალოგი იყო მოკლე: «მე დავალებული მაქვს პრეზიდენტ ვილსონისაგან შეგვეკითხოთ, თუ რამდენი ამერიკელი ჯარისკაცი გპირდებათ თქვენ, რომ გერმანეთი დამარცხებულ იქმნას?». პენლევესი პასუხი მზად ჰქონდა: მილიონი, გაყვანილი ფრონტზე 1918 წლის ივლისის პირველამდე». ორი დღის შემდეგ პერშინგმა განუცხადა პენლევეს: «მოგეცემათ ერთი მილიონი ჯარისკაცი, და მეორე მილიონიც თუ საჭირო გახდება, და უფრო მეტიც, თუ ეს აუცილებელი შეიქმნება. აი, როგორი პასუხი მაქვს თქვენთვის შეერთებული შტატების პრეზიდენტისაგან!».

ეს შეთანხმება მთავრობებს შორის საქვეყნოდ განმეორებული იქმნა ამერიკის დამოუკიდებლობის დღესასწაულზე, ივლისის 4-ს, ლაფაიეტის ძეგლის წინ. გენ. პერშინგმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: — «ლაფაიეტ! აი ჩვენც!»

[ცნობილია, რომ ლაფაიეტმა მონაწილეობა მიიღო ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში].

პენლევემ თავის საპასუხო სიტყვაში აღნიშნა ამერიკელების თანამშრომლობის უდიდესი მნიშვნელობა და მადლობა განუცხადა ვაშინგტონის შთამომავლებს იმ ძმური დახმარებისათვის, რომელსაც აწვდიდნენ ისინი ფრანგულ ჯარს, რომელიც ომისაგან მეტად დაღალული იყო. «თქვენ არ ისურვეთ», სთქვა პენლევემ, «საფრანგეთი გამხდარიყო იმ

ომხიბლავმ დალამაზ კოცონად, რომელიც თავისი ცეცხლით ქვეყნიერებას გაანათებდა!».

მაგრამ არსებობდა ერთი დიდი სიძნელე. ამერიკელთა სურვილი დიდი ჯარის შესაკრებად უკვე ფაქტი იყო. ხოლო რა რიგ უნდა მოეწყოს მისი გადმოყვანა? რამდენად შესაძლებელი იყო ეს?

ისახებოდა ორი გზა. ორივე გზა-გეგმას ჰყავდა თავისი დამცველები. პირველნი ფიქრობდნენ ჩქარ-მავალი გემებით ჯარის გადმოყვანას, მათ დაუცველად; მეორენი კი — პენლევე და ადმირალი ლაკაზი — უპირატესობას აძლევდნენ ყოველი მხრიდან ტორპილიერებით დაცულ გემებს. მიღებულ იქნა მეორე გეგმა სამი მეზღვაურის — ფრანგის, ინგლისელის და ამერიკელის აქტიური თანამშრომლობით.

იენისის დასასრულს, სანტ-ლაზარში [საფრანგეთის ნავთსადგური] გადმოსხეს პირველად გადმოგზავნილი ამერიკელი ჯარისკაცები ისე რომ, არც ერთი გემი, არც ერთი კაცი არ დაღუპულა. ივლისის დამდეგს ჩამოვიდა მეორე ჯგუფი სენტ-ლაზარში და ბრესტში. ამნაირად: ცდა გამართლდა.

ამის შემდეგ ამერიკული ჯარი აღარ იყო უბრალო იმედი და ხდებოდა იგი ომის უშუალო ფაქტორად. მისი მნიშვნელობა მით უფრო იზრდებოდა, რამდენადაც ირღვეოდა რუსული ფრონტი. მაგრამ სანამ ეს ახალი ჯარი შესძლებდა შეესრულებია ის დიდი როლი, რომელსაც მომავალი მას ანიჭებდა, საჭირო ხდებოდა მრავალი ტენიკური საკითხის გადაწყვეტა, რაც საკმარის დროს მოითხოვდა.

ამერიკელთა ომში ჩარევას პირველი ფაზა

ამერიკელთა ამ ომში მონაწილეობის ისტორია ორ ნაწილად უნდა გაიყოს: მომზადების ხანა და ომში აქტიურად ჩაბმა.

მათ მომზადებაში საფრანგეთს, ვინემ სხვა რომელიმე მოკავშირეს, უნდა მიეღო დიდი მონაწილეობა.

1917 წლის აპრილში ამერიკულ ჯარს შეადგენს ორასი ათასი კაცი. 1918 წლის ივლისში კი ეს რიცხვი ავიდა 2. 400. 000-მდე, რომლის ნახევარი უკვე საფრანგეთში იმყოფებოდა. 1918 წლის ნოემბერში — 3. 600. 000 ჯარისკაცი და ამთგან ორ მილიონზე მეტი საფრანგეთში. მხოლოდ საქმე ის იყო, რომ შექმნილიყო ასეთი რიცხოვანი ჯარი, რომ შესაძლებელი გახდა მისი გადმოყვანა. საჭირო იყო მისი შეიარაღებაც, მისი გაწრთვნა, მასზე ბრძანებლობა და რაც უმთავრესია — სულ მოკლე ხანში, მისი ბრძოლაში გაყვანა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ორგანიზაცია, მთელი მისი მნიშვნელობით, შეერთებულ შტატებში არ არსებობდა. 1917 წლამდე, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ამერიკა ვითარდებოდა ყოველივე ომიანობის გარეშე. მისი რეგულიარული ჯარი თავისი შემადგენლობით, თავისი შემეცნებით არ გაშორებია სესესიონის ომს. მათ ოფიცრებს, რომელნიც სავსე იყვნენ გატაცებით, მამაცობით, თაონობით, სამხედრო უალრესი ტრადიციებით, სჭირდებოდათ შეესწავლათ უკანასკნელი ბრძოლების სასტიკი მაგალითები. ოფიცერთა რიცხვი უმნიშვნელო იყო შექმნილი დიდი ჯარის მოთხოვნილებისათვის.

იმ ჯარებმა კი, რომელნიც 1914—1917-დე დაპირისპირებული იყვნენ ევროპაში, მიიღეს და განიცადეს ბრძოლათა საუკეთესო და შეუბრალებელი გაკვეთილები. ანდა საჭირო იყო ამერიკული ჯარისათვის ხელოვნური ომის-ბრძოლების გაკვეთილების მიცემა რამოდენიმე თვის განმავლობაში. საჭირო იყო ამ ჯარის ძირიანად გარდაქმნა. ტეხნიკურად, შეცვლა მისი სტრუქტურისა. საკვირველი ის კი არ არის, რომ ამ გარდაქმნას ამდენი ხანი მოუხდენ, არამედ ის, რომ ეს ეგრე მოკლე ხანში შეასრულეს.

ტეხნიკოსთა ერთმა ჯგუფმა თავიდანვე წამოაყენა შერევის საკითხი: ესეიგი — ამერიკული პატარ-პატარა ნაწილებით ინგლისური და ფრანგული დივიზიების შევსება. ამ შემთხვევაში ამერიკა გამოდიოდა, როგორც ჯარისკაცთა უღვეველი რეზერვუარი, საიდანაც მოკავშირენი თავიანთ შემცირებულ ნაწილებს შეავსებდნენ. მაგრამ ეს, ასე ვსთქვათ, მარტივი გეგმა მიზანშეწონილი არ იყო. ეს გამოიწვევდა ბევრ დაბრკოლებას და პირველ რიგში მორალურს, რაც სრულიად საკმაო იყო ამ გეგმის უარსაყოფად. ასეთი გეგმა არა თუ შეანელებდა ამერიკელ ხალხის აღფრთოვანებას, არამედ გამოიწვევდა საბუთიან გულისწყრომასაც.

ერთადერთი გზა, რომელიც არსებობდა, რათა ამერიკელთა ჩარევას გამოეღო რაიმე შედეგი, ეს იყო დიდი არმიის შედგენა, შეიარაღება და გაწრთვნა ევროპის ჯარისდა-გვარად. ამ გეგმაზე შეთანხმდნენ ვაშინგტონის მთავრობა და მოკავშირენი 1917 წლის აპრილში.

გენ. პერშინგის მუშაობა შეიძლება განიმარტოს თქმით, რომ მან თავის ენერგიით შესძლო ახალი დიდი არმიის შექმნა «ბრძოლისათვის ბრძოლის დროს», და ეს, სამი ათასი კილომეტრის მანძილზე თავისი ბაზიდან, დაშორებული თავის დეპოებს ოკეანით, სადაც დასრიალებდნენ მტრის წყალქვეშა ნაგები. ყოველი დაბრკოლება, რაც კი ელობებოდა ამ საქმის განხორციელებას, უფრო აქეზებდა ამერიკელ ხალხს; ეს წაქეზება იკამდე მივიდა, რომ ამ ხალხმა გადასწყვიტა ომში მთელი თავისი ძალების გამოყვანა «ურეზერვოდ და უსაზღვროდ».

ყურადღება უნდა მიექცეს საერთო შედეგებს: — შეიქმნა ახალი გემთა ბაზები ქ.ქ. ბორდოში და ბრესტში; სავარჯიშო მოედნები აღმოსავლეთ საფრანგეთში. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გენ. პერშინგის გადაწყვეტილება, რომლითაც ის თანხმდებოდა 1918 წლის დასაწყისში ფრონტის მშვიდობიან სექტორებში თავისი, ჯერ კიდევ არა სავსებით გაწრთენილ დივიზიების ჩაყენებაზე და ამასთანავე პრაქტიკული ცდებისათვის და სტაჟისათვის ამერიკული პოლკების მივლინებაზე ინგლისურ და ფრანგულ დივიზიებში.

მაგრამ საერთო თანამშრომლობისათვის, ყოველივე გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, არსებობდა ერთი ისეთი ფაქტორი, რომელიც ამ მომზადებაში თამაშობდა არა უკანასკნელ როლს. ეს იყო — დრო და ამაში მდგომარეობდა 1917 წლის ივლისიდან 1918 წლის ივლისამდე მთელი დრამა.

1918 წლის ივლისში კერენსკის დიდი ცდა რუსული ფრონტის გამოსაცოცხლებლად საბოლოოდ დამარცხდა.

სამხედრო კომიტეტის ერთერთ სხდომაზე, რომელსაც ფოში და პეტენი დაესწრენ, რიბო არდგენს საკითხს: — საჭიროა თუ არა საერთო შეტევა დასავლეთის ფრონტზე მტრის ფრონტის გასარღვევად მაშინ, როდესაც რუსული არმია მხოლოდ ფასადს წარმოადგენს — მაგრამ მაინც ფასადს რაც უნდა იყვეს, — თუ საჭიროა მოცდა 1918 წლამდე, მიხედავად გერმანელთა მთელი ძალების შემოტევის საშიშროებისა მომავალი გაზაფხულისათვის?

დიდი შორმჭვრეტელობითა და საკვირველი სიზუსტით პეტენი აკეთებს მოხსენებას მაკავშირეთა მთელი ძალების შესახებ: «ჩვენ, ინგლი სელებს და ფრანგებს შეგვიძლია მოვახდინოთ და მოვახდინოთ კიდევაც მოწინააღმდეგეზე დიდ დარტყმებს, რათა შევაჩეროთ და შევასუსტოთ გერმანული დივიზიები; მაგრამ ჩვენი საშვალეებანი არ არიან ჯერჯერობით საკმაოდ რომ მოვახდინოთ გარღვევანი სასურველ სივანეზე და რომ შევძლოთ გამარჯვების გამოყენება. ასეთ რამეს ჩვენ შევწირავთ იმდენ ხალხს და იმდენ მასალას, რაიც 1918 წელში — გადამწყვეტ მომენტში, ფრიად დაგვაკლდება. ჩვენ გვჭირდება კიდევ ერთი წელიწადი საჭირო მასალის დასამზადებლად და იმ დროისათვის მეომართა რიცხვის აწევის საკითხიც მოგვარდება ამერიკული კონტინგენტების ჩამოსვლით»...

საბჭომ მხარი დაუჭირა დიდი გენერლების აზრებს — გეგმებს, რომელშიაც შედიოდა ავიაციის პროგრამა — მწვერავი და საბომბარდო, მძიმე მსწრაფლ მსროლელ არტილერიის პროგრამა, სამი ათასი პატარა ტანკების შეკვეთა, დიდი რიცხვის მამწვამგლეი და მწველი

ყუმბარების შეკვეთა. ყოველივე ეს მზად უნდა ყოფილიყო 1918 წლის I ივლისისათვის — ამ დროისათვის იყო დაპირებული, რომ ერთი მილიონი ამერიკული დოლარი უკვე ფრონტზე იქნებოდა.

მაშასადამე, განმათავისუფლებელი დიდი შეტევა უნდა დაწყებულიყო 1918 წლის ივლისის I-ს.

როდესაც 1917 წლას სექტემბერი მოახლოვდა, რუსული ფრონტის მდგომარეობა უნუგეშო გახდა. საფრანგეთის მთავრობის წინაშე (პენლევეს თავჯდომარეობით) ისმება საკითხი — რა არის უმჯობესი: — ესლავე დიდ შეტევაზე გადასვლა თუ დაცდა. ფოშისა და პეტენის აზრი ისევე იმარჯვებს. მოუთმენლებს პეტენი უპასუხებდა: «მე ველოდები ამერიკელებს და ტანკებს»-ო.

მაგრამ აღმოსავლეთში მოკავშირეთა საქმეები რთულდება, ბოლშევიკები იმარჯვებენ პეტროგრადში, რუმინეთი ნებდება გერმანეთს, და ყოველივე ამას უნდა დაემატოს ის, რომ მეტროქოლთა (ეფექტივების) რიცხვის საკითხი ხდება უფროდაუფრო საჭირობოროტო.

ახალგაზდებიდან 19—32 წლამდე ფრონტზე ძლივს შერჩა მესამედი — დანარჩენები დახაცილნი, დაჭრილნი ან ტყვეთწყევანილ იქმნენ. საფრანგეთი აზნავნის ფრონტზე თავის თადარიგებს და 18-წლიან ჯარისკაცებს. საზოგადოებრივი აზრი დაქინებით მოითხოვდა მოკავშირეთა შორის ჯარში გაწვევის თანაბრობას და ინგლისელთა მიერ დაკავებულის ფრონტის გადიდებას.

ამერიკელების მხრივ გენ. პერშინგმა განაცხადა თავის მთავრობასთან შეთანხმების შემდეგ, რომ ორასი ათასი ამერიკელი 1918 წლის მარტისათვის ჩამოყვანილი იქნება საფრანგეთში.

მარტიდან მოყოლებული ივლისამდე, ამერიკული ჯარის რიცხვი საფრანგეთში უნდა ასულიყო 8-9 ასი000-დე. ჯარის გადმოყვანა იმეტომ გძელდებოდა, რომ შეუძლებელი იყო საომარ მასალათა, საქონელთა და სხ. გადმოზიდვის შეჩერება. რაც უფრო რთულდებოდა მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე, მით უფრო დაქინებით მოითხოვდა საზოგადოებრივი აზრი ამერიკული ჯარის ჩამოყვანის დაჩქარებას. საზოგადოებრივი აზრის ეს მოთხოვნილება უფრო მეტ მნიშვნელობას და შინაარს ღებულობს ამიენზე გერმანელების შემოტევის შემდეგ. აი, აქ იწყება ინტერვენციის მეორე ფაზა: —

ამერიკული ჯარის ბრძოლაში ჩარევა.

ს ა მ ა რ ი

ა მ ქ მ ე ღ ე ბ ა ნ ი მ თ ა შ ი

უფროსების ადგილი ერთ-მწკრივიან წყობილებაში

როდესაც ჯარის ნაწილი ბილიკზე იმყოფება და მისი გვერდის ავლა შეუძლებელია, უფროსების ადგილი არის მწკრივის თავში. აღმართში ყოველი ოფიცერი წინ უნდა მიუძღოდეს თავის ნაწილს; დაღმართში კი სჯობია კუდში დარჩეს, ვინაიდან სასურველია, თავის ერთეულს ყოველი უფროსი ზევიდან დაჰყურებდეს და ამრიგად, შეეძლოს დაუყოვნებლივ მდგომარეობის მიხედვით ბრძანების გაცემა.

წარმოვიდგინოთ მაგალითი: როდესაც ათასეულის უფროსი იმყოფება თავისი ათასეულის ბოლოში, და როდესაც ეს უკანასკნელი გამწკრივებულია ბილიკზე და აღის აღმართში, თუ მისი თავი ანუ წინა ნაწილი მეტრს წააწყდა, ათასეულის უფროსს არ შეუძლია რაიმე ბრძანება გასცეს, რადგან ერთი საათი უკანასკნელი დასჭირდება, ვიდრე თავის ათასეულს გვერდს აუვლიდეს და მდგომარეობას გაეცნობოდეს. ამდენივე დროა საჭირო შიკრიკის საშუალებით რაიმე ცნობის მისაღებად.

წარმოვიდგინოთ წინააღმდეგ: — ათასეულის უფროსი არის თავისი ერთეულის წინ დაღმართში; თუ ათასეულის ბოლოში რაიმე მოხდა, მას ამ შემთხვევაშიც არ შეუძლია რაიმე გავლენა იქონიოს, რადგან ვერ ხედავს და არ იცის თუ რა ხდება მის ზევით.

საერთოდ უმჯობესია, უფროსი თავის ერთეულს ზევიდან დაჰყურებდეს და აღმართში წინ მიუძღოდეს, დაღმართში კი წინმავალთან იყვეს.

კოლონას სიგრძე

[კოლონა — სამგზავროდ შემდგარი ჯგუფი სხვა და სხვა ან ერთ გვარ იარაღის ჯართაგან.]

ერთ-მწკრივიანი წყობის ნაკლი არის მისი სიგრძე, მაგრამ მის შესამოკლებლად არავითარი საშუალება არ არსებობს. ჯ.-კაცთა შორის მანძილი ერთნახევარი მეტრი და საბარგო ჯორებს შორის სამი მეტრი მიღებულია როგორც მინიმუმი. მაშასადამე, თუ ჯ.-კაცისათვის საჭირო მანძილად ჩავთვლით ორ მეტრს და თვითეულ საბარგო ცხოველისათვის კი 5 მეტრს, ეს რეალობასთან უფრო ახლო იქნება.

ამას გარდა, ერთეულის სხვა და სხვა შემადგენელ ნაწილებს შორის უნდა დაცულ იქმნას აგრეთვე საკმაო მანძილი, სიარულის გასაადვილებლად და ყოველგვარი შეფერხების თავიდან ასაცილებლად.

ეს მანძილები არის 5 მეტრი გუნდში მწყობრთა შორის; 30 მეტრი გუნდთა შორის და 100 მეტრი საბარგო ცხოველების ერთეულსა და სხვა ნაწილებს შორის.

ოცპროცენტიან აღმართში 100 მეტრი უდრას 20 მეტრის დონეს განსხვავებას და მაშასადამე, ხუთი წუთის გზას (იგივე მანძილი ტყვია ფრქვევთა გუნდისათვის).

ყველა ზემოხსენებულის მიხედვით, ქვეითი ასეულის სიგრძე ბილიკზე იქნება 2400 მეტრი. ვაკეზე ამ სიგრძე კოლონას გავლა მოითხოვს დაახლოებით 30 წუთს, მაგრამ მთაში ე. ი. აღმართში და ბილიკებზე ანგარიში უნდა გაუწიოთ გზის სიძნელეს.

ოცპროცენტიან აღმართში 2400 მეტრის სიგრძე უდრის 480 მეტრის დონეს განსხვავებას და მაშასადამე, ამ მანძილის გავლას მოუხდება 1 საათი და 30 წუთი.

ზემოხსენებული ციფრები სრულიად თეორიული არის, რადგან სხვა და სხვა შეფერხებათა გამო, შესაძლებელია ბევრად მეტი დრო დაირჩეს საჭირო.

ძნელი გასავლელი ადგილები ან დიდი აღმართი ან ცხოველის მიერ ბარგის გადმოგდება და სხვა და სხვა იწვევს ამ დროის ცვლილებას და აგრეთვე მანძილების ხან გაგრძელებას და ხან შემოკლებას.

ზედმიწვევით უნდა იყოს გაწრთვნილი ჯარი, რომ მანძილები დაცულ იქმნას და არავითარი შეფერხება არ მოხდეს.

ჯარისკაცების საერთო ჩვეულებაა აღმართში აჩქარება და ამრიგად მანძილის შემოკლება დი წინმავალი კაცის ქუსლებზე სიარული; დაღმართში კი დაქანება და მანძილების გადიდება. უფროსობამ უნდა აღკვეთოს ასეთი მოვლენები.

ყოველი ერთეულის უფროსებს და ნაცვლებს აქვთ სასტვენის, რათა დასვენებისათვის შეჩერების ან სიარულის დაწყების ნიშანი დაუყონებლივ იქმნას განმეორებული ან გადაცემული.

ჯარისკაცი და ჩალანდარი თავისი საპალნიანი ჯორით უნდა დაუყონებლივ შეჩერდეს იმ ადგილზედ, სადაც ბრძანება მოასწრებს და არ ეცადოს შეასწაროს მანძილები. რადგან, თუ თვითეულმა მწყობრმა შეამოკლა თავისი, რაიმე მიზეზების ზამო გადიდებული მანძილი, უკან მოსიარულე გუნდს მოუხდება სიარული მთელი დასვენების განმავლობაში და ამნაირად ვერა დროს ვერ დაისვენებს.

როდესაც კოლონა შესდგება სხვა და სხვა იარაღის ჯართაგან:—

ქვეითი ჯარი, არტილერია და სხვა, მოძრაობის ბრძანებაში აღნიშნულ უნდა იქმნას მანძილების სივრცე დროის მიხედვით 5 და 15 წუთამდე.

რაც უფრო დაკიდული აღმართია, მით უფრო ნელი უნდა იყოს ნაბიჯი. ყოველ ერთეულს წინ უნდა მიუძღოდეს კარგი მოსიარულე ჯ. კაცი, რომლის მოკაზმულობა და ბარგი იგივეა, რაც თვითეული ჯ. კაცის. მასთან ერთად არის მწყობრის უფროსი და თვალყური უნდა ადევნოს სიარულის სიძინჯეს და შეაჩეროს ყოველგვარი აჩქარება.

არ უნდა დაევიწყოთ, რომ სხეულისა და ტვირთის სიმძიმე განსაკუთრებით აწვება და ჰლლის ფეხის კუნთებს და ფეხის გულს, ამიტომ დინჯი ნაბიჯი აქაც უმჯობესია.

ბანაკიდან დაძვრის შემდეგ, თუნდაც აღმართში არ ხდებოდეს სიარული, საჭიროა ერთეულის 5 წუთით შეჩერება 25 წუთის სიარულის შემდეგ. რათა ჯარისკაცმა შესძლოს თავისი მოკაზმულობისა და ბარგის შესწორება, ჩაღანდრებმა კი შესძლონ საპალნის დათვალიერება და მოსართავის მოჭერა.

აღმართში ყოველი ნახევარი საათის შემდეგ 5 წუთით დასვენება საჭირო სუნთქვის დასაწყნარებლად, დაღმართში კი ყოველ საათში 10 წუთის დასვენება ე.ი. 50 წუთის სიარულის შემდეგ.

ყოველ დასვენებაზე კაცები უნდა ჩამოჯდნენ ბილიკის ერთ მხარეზე და ხელიდან არ მოიშორონ თავისი იარაღი.

დიდი დასვენება

როდესაც გზასავალი ექვს საათზე მეტია. საჭიროა დიდი დასვენება. თუ კოლონა შესდგება საბარგო ცხოველებისაგან დიდი დასვენებისათვის საჭიროა ორი საათი საპალნების მოსახდელად. წყლის დასალევიანებლად და ქერის მისაცემად.

ზაფხულში და დიდ სიცხეთა გამო კოლონა უნდა დაიძრას დილით ძალიან ადრე, რათა საბანაკო პუნქტამდე მიაღწიოს დიდი სიცხის დაწყებამდე. თუ გზასავალი ძალიან გრძელია, 35-დან 40 კილომეტრამდე და წყლიანი ადგილიც მოიპოვება გზაზე, დიდი დასვენება აუცილებელი არის. ამ შემთხვევაში კოლონა ივლის 2 საათიდან 9 საათამდე, დაისვენებს დიდი სიცხის დროს და განაგრძობს გზას 16 საათიდან 19 საათამდე. 19 საათზე ჯერ კიდევ დღეა და საბანაკოდ მოსაწყობად სინათლე არის, რაც ყოველთვის უმჯობესია.

ა რ ტ ი ლ ე რ ი ა

მისი დანიშნულება და გამოყენება

თანამედროვე ბრძოლაში

V

არტილერია საბრძოლო ლაშქრობაში

განვიხილოთ რა, წინამორბედ თავში, პირველდაწყებითი, მომზადებითი მოქმედება არტილერიისა ბრძოლისათვის, შევუდგებით ეს-ლა იმ შემთხვევათა განხილვას, სადაც უკვე აშკარად ხდება შესაძლებლობა ბრძოლისა და სადაც უნდა სათანადოთ იყვეს ყოველგვარი ზომა ამგვარ შემთხვევის დასაკმაყოფილებლად, მის სათანადო შესრულებისათვის.

უპირველეს ყოვლისა გვეჩნება ბაასი საბრძოლო ლაშქრობის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელი ხდება მტრის მოქმედება, ე.ი. როდესაც არსებობს ეგვიზობა მტერთან შეხლისა და პირველ ნამდვილ საბრძოლო მოქმედების დაწყება, სადაც ადგილი აქვს ცოცხალ ძალების ერთმანეთთან შეჯახებას და ამით ერთმანეთზე გავლენიანობას, სადაც ყოველი შემდეგი ნაბიჯი და მოქმედება დამოკიდებული ხდება არა მხოლოდ ჩვენი პირველყოფილ სურვილის და განზრახვისაგან, არამედ სხვა ბევრ საერთო პირობისა და მდგომარეობისაგან, როგორც ჩვენი საკუთარის, ეგრეთვე მოპირდაპირის.

შევუდგებით რა განხილვას ამ მომენტებისა ე. ი. ჯერ პირველად განყენებულ წესის საბრძოლო ლაშქრობისა და შემდეგ კი ყოველგვარ სახის ბრძოლისა, აღვნიშნავთ, რომ ბაასი გვეჩნება მხოლოდ მოქმედებების შესახებ დივიზიის ფარგლებში, ვინაიდან ეს არის თითქმის ერთადერთი უდიდესი ტაქტიკური ერთეული, რომელშიაც არტილერიის მოქმედება განიცდის თავის ყოველგვარ და ყოველმხრივ გამოყენების შესაძლებელ ვარიანტებს.

დივიზია არის ერთად ერთი უდიდესი ტაქტიკური ერთეულთაგანი, რომელშიაც მისი შემადგენელი სხვა და სხვა დარგის იარაღნი მო-

ქმედებენ ერთი მიმართულებით, შვეულად, ერთმანეთისადმი დამხმარედ საერთო მიზნის მისაღწევად. სხვა დიდ ერთეულებში კი, როგორცაა მაგალითად საოპერაციო ჯგუფი ან არმია, რომელთაგანაც პირველი შესდგება რამოდენიმე დივიზიის გროვისაგან განსაზღვრულ მიზნისათვის, და მეორე კი ან საოპერაციო ჯგუფების ან კიდევ თვით დივიზიების გროვისაგან, მოქმედება გამოიხატება ამ ერთეულების შემადგენლობაში მყოფ დივიზიების პარალელურ ან კონცენტრიულ მოქმედებებით. გარდა ამისა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ დივიზია არის ისეთი დიდი ერთეული, რომელსაც ჩვენ პირობებში მოუხდება მოქმედება, სულ უკეთეს შემთხვევაში, ფრონტზე, რომლის სიგანე იქნება არა უმცირესი ათი კილომეტრისა, ამის გამო, არტილერიის შეძლების მიხედვით, მისი მოქმედება ხდება პრობლემატიური, ე. ი. შემთხვევა, რომ არტილერიამ, მანიჭებულმა მთავარსარდლის თადარიგიდან რომელიმე საოპერაციო ჯგუფის ან არმიის გასაძლიერებლად, შესძლოს მოქმედება შვეულად ამ ერთეულების ფრონტზე, ე. ი. ერთდროულად იმოქმედოს რამოდენიმე, თუნდაც სულ უკანასკნელი ორი დივიზიის სასარგელოდ. ამიტომ ის არტილერია, რომელიც მივლინებული ხდება მთავარსარდლის თადარიგიდან ასეთ ერთეულებისადმი, უმეტეს შემთხვევაში, ამ ერთეულების უფროსების მიერ დანაწილებული ხდება დივიზიების შორის, საერთო პირობების და მათი დავალებების მიხედვით. ამის გამო იშვიათად შევხვდებით იმ შემთხვევას, რომ საოპერაციო ჯგუფის ან არმიის უფროსის მიერ დატოვებულ იქმნას თავის განკარგულების ქვეშ ნაწილი ამ არტილერიისა, რომელსაც დაევალება საერთო მოქმედება რამოდენიმე დივიზიის ფრონტზე.

